პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 4 მარტი, 1952 წ. № 54 (9214). ფასი 20 კაპ.

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს დიდი რუსი მწერლისა და პატრიოტის ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავს.

ნ. ვ. გოგოლმა თავისი შემოქმედებით უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რუსული მხატვრული პროზა და მას მსოფლიო დიდება მოუპოვა.

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს ნ. ვ. გოგოლის უკვდავ ხსოვნას.

# ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს საბჭოთა კავშირის მშრომელები წელს აღნიშნავენ ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის პირობებში.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის სტალინურ პროგრამას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმა და 1951 წელს ახალი შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა, მიღწეულია შემდგომი წარმატებები სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ ინერგება მოწინავე ტექნიკა, იზრდება შრომის ნაყოფიერება. საბჭოთა კავშირის მშრომელები დიდი შემოქმედებითი აღმავლობით აშენებენ გრანდიოზულ ჰიდროელექტროსადგურებს, არხებსა და სარწყავ სისტემებს, რომელთა განხორციელება ახალი წვლილი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

სახალხო მეურნეობის განვითარების წარმატებანი უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ მატულობს ნაციონალური შემოსავალი, მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი, ფართოდ გაშლილია საბინაო მშენებლობა. სოციალიზმის ქვეყანაში არ არის უმუშევრობა, რომელიც უბედურებას წარმოადგენს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის.

იზრდება და მტკიცდება საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებანი, მისი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა უფრო მეტად ზრდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ავტორიტეტსა და საერთაშორისო გავლენას. ყველა ქვეყნის ხალხები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობაში კაპიტალიზმის წინაშე.

სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ქალებს. კაპიტალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრის ბორკილებისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა ქალებმა გაშალეს თავიანთი შემოქმედებითი უნარი, გახდნენ სოციალისტური საზოგადოების აქტიური, შემოქმედებითი ძალა. ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებით შთაგონებული საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, იბრძვიან სოციალისტური კულტურის ახალი წარმატებებისათვის, მთელ ძალებსა და ცოდნას ახმარენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმატებით მუშაობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ აღზრდილი მრავალრიცხოვანი ქალთა კადრები. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტ ქალთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ომამდელ 1940 წელთან შედარებით ერთი-სამად და უფრო მეტად გადიდდა და ამჟამად 830 ათასს აღემატება. მილიონზე მეტი ქალი სწავლობს უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში.

მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში მილიონობით მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და ოსტატი ქალი გვიჩვენებს სოციალისტური შეგნების ნიმუშებს შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში, იმაღლებს ტექნიკურ ცოდნასა და საწარმოო კვალიფიკაციას, ეუფლება მოწინავე ტექნიკას და წარმოების კულტურას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მშრომელი ქალები იბრძვიან უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის, აქტიურად მონაწილეობენ ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებაში, ეუფლებიან აგრონომიულ ცოდნასა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ჩვენი ქვეყნის აგრონომთა საერთო რიცხვის 40 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ, ათეულ ათასობით ქალი მართავს ტრაქტორსა და კომბაინს, ასეულ ათასობით ქალი გახდა სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავე.

სსრ კავშირის ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მუშაობს ორმილიონნახევარზე მეტი ქალი. ათეულ ათასობით ქალი შრომობს უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ამდიდრებს საბჭოთა მეცნიერებას ახალი გამოკვლევებითა და აღმოჩენებით. ბევრმა საბჭოთა ქალმა გამოავლინა თავისი შემოქმედებითი უნარი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შექმნა მაღალიდეური ნაწარმოებნი, რომლებიც აღაფრთოვანებენ ჩვენს ადამიანებს სამშობლოს საკეთილდღეოდ პატრიოტული საგმირო საქმეებისათვის.

დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა ქალები სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. სსრ კავშირში ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი სწავლა, გახსნილია ათწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, შექმნილია პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სახელმწიფო სისტემა. მილიონზე მეტი მასწავლებელი ქალი ზრდის მოზარდ თაობას კომუნისტური შეგნებისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. მილიონზე მეტი ქალი მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. ჩვენს ქვეყანაში ექიმი ქალების რიცხვი 1940 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა და ამჟამად 207 ათასს შეადგენს.

სოციალისტური სამშობლო დიდად აფასებს საბჭოთა პატრიოტი ქალების თავდადებულ შრომას. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 70 ქალს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება — 2.170 ქალს. 730 ათასზე მეტი მუშა და კოლმეურნე, ინჟინერი და აგრონომი ქალი, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 579 ქალს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ დედისა და ბავშვისათვის. ქალი — დედა ჩვენში მთელი ხალხის პატივისცემით სარგებლობს. 35 ათასზე მეტ ქალს მიენიჭა „გმირი დედის“ წოდება, სამმილიონნახევარი ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“. სახელმწიფომ მარტო 1951 წელს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მისცა და ახალშობილთათვის გაიღო 6 მილიარდი მანეთი დახმარება. ყოველწლიურად ასეულ მილიონობით მანეთი იხარჯება პიონერთა გამაჯანსაღებელი ბანაკებისა და საბავშვო სანატორიუმებისათვის. ხალხის კეთილდღეობის ზრდის, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის შედეგად საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მოსახლეობის ყოველწლიური მატება სამ მილიონზე მეტია. ჩვენს ქვეყანაში იზრდება კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ფიზიკურად ჯანსაღი, სულით მხნე თაობა, რომლისთვისაც გახსნილია ბედნიერი, შემოქმედებითი ცხოვრების ყველა გზა.

სსრ კავშირის ქალები ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში და საბჭოთა მშენებლობაში. 280 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 2.209 ქალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატია, ნახევარ მილიონზე მეტი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა შორის ქალები 40 პროცენტზე მეტია.

საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებს მათს ბრძოლაში ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის. ჩინეთის ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩინეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღდგენასა და აღმავლობაში, დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებაში. თავიანთი ქვეყნების მშრომელებთან ერთად წარმატებით აშენებენ სოციალიზმს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ქალები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები იბრძვიან ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული გერმანიისათვის.

კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ქალები 8 მარტის დღეს აღნიშნავენ მშრომელთა ცხოვრების დონესა და დემოკრატიულ უფლებებზე კაპიტალის შემდგომი შეტევის ვითარებაში. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ახალი ომისათვის მზადებას იყენებენ იმისათვის, რომ უფრო მეტად გაძარცვონ ხალხები და მიიღონ ზემოგება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ბერავენ სამხედრო ბიუჯეტებს, ადიდებენ მოსახლეობის გადასახადებს, სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასებს, ამცირებენ სამშვიდობო წარმოებას, ასეულ ათასობით მშრომელი ემატება უმუშევართა არმიას. კიდევ უფრო უარესდება მშრომელ ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა, რომლებიც მილიონობით იღუპებიან აუტანელი შრომით, შიმშილითა და ავადმყოფობით.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე სულ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი, იზრდება და მტკიცდება მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ფრონტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ექვსას მილიონამდე კაცმა მოაწერა ხელი მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ქალთა საერთაშორისო დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები აღნიშნავენ მშვიდობისათვის ბრძოლის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგით, რომელსაც ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ამზადებენ. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა რიგებში დგება ახალ-ახალი მილიონი ქალი. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც მსოფლიოს 64 ქვეყნის 135 მილიონ ქალს აერთიანებს, თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, მშრომელი ქალების ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის, ბავშვების სიცოცხლისა და მომავლისათვის. ამ ბრძოლაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალები.

კაპიტალის ქვეყნებში მილიონობით ქალი იბრძვის ხელფასის გადიდებისათვის, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემის შემოღებისათვის, სახალხო განათლებასა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაზე სახელმწიფო ხარჯების გადიდებისათვის.

ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებას, მშვიდობის პაქტის დადებას, კორეაში ამერიკის იმპერიალიზმის სისხლისმღვრელი აგრესიის შეწყვეტას. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში არიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ქალები.

საბჭოთა ქალების მოვალეობაა კიდევ უფრო გააფართოონ და განამტკიცონ ინტერნაციონალური კავშირი ყველა ქვეყნის ქალებთან, მათთან ერთად აქტიურად იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ახალი მსოფლიო ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი აღნიშნონ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალების ჩაბმისათვის ბრძოლის ნიშნით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშა, ინჟინერ და ტექნიკოს ქალებს უფრო მტკიცედ და ენერგიულად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეტი ინიციატივა გამოიჩინონ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, უფრო გაბედულად დაეუფლონ ახალ ტექნიკას და შრომის მოწინავე მეთოდებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კოლმეურნე ქალებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტ ქალებს განუწყვეტლივ იბრძოლონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივ განვითარებისათვის.

მეცნიერებისა და კულტურის მუშაკმა ქალებმა მტკიცედ უნდა წასწიონ წინ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, თავიანთი შემოქმედებითი ძალები და უნარი მოახმარონ სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ახალ აღმავლობას.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, რომ შემდგომ ჩააბან ქალები მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში, აამაღლონ ქალთა აქტივობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ქალთა პოლიტიკური განათლებისათვის, მუდამ ზრუნავდნენ მათი კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, მათი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უკეთ გამოიყენონ ქალთა კადრების დაწინაურების გაზრდილი შესაძლებლობანი, უფრო გაბედულად დააწინაურონ მოწინავე ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან გააძლიერონ ყოველდღიური ზრუნვა მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მუდმივი დახმარება გაუწიონ ქალს—დედას ბავშვთა აღზრდის საქმეში, უზრუნველყონ საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების, საზოგადოებრივი სასადილოების, სამკერვალო სახელოსნოების, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოების ქსელის შემდგომი გაფართოება და მუშაობის გაუმჯობესება, რომლებიც ქალს უმსუბუქებს საოჯახო შრომას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კიდევ უფრო გააძლიერებენ შემოქმედებით აქტივობას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ ჩვენი დიდი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# ნ. ვ. გოგოლი

დღეს სრულდება დიდი რუსი მწერლის, მგზნებარე პატრიოტის — ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავი. საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები დიდი ზეიმით აღნიშნავენ რუსული ლიტერატურის ისტორიის ამ ბრწყინვალე თარიღს. ასი წლის წინათ გარდაიცვალა სიტყვის გენიალური ოსტატი, რომლის უკვდავი ნაწარმოებნი ღრმად სწვდებიან მშრომელი ხალხის იდეურ და მორალურ სამყაროს, რომლის შემოქმედებამ მსოფლიო დიდება მოუპოვა ჩვენი დიდი სამშობლოს მხატვრულ ლიტერატურას, გარკვეული როლი შეასრულა რუსი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის წინააღმდეგ.

ნ. ვ. გოგოლის შემოქმედება ვითარდებოდა მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში. ეს იყო ბატონყმობის შავბნელი ხანა, როცა ყოველმხრივ შებოჭილი იყო მოწინავე რუსული აზროვნების განვითარება. ბიუროკრატ მოხელეთა აღვირახსნილი თვითნებობა, მექრთამეობა, მლიქვნელობა, „ასეულის უხეირო მეთაურის“—ნიკოლოზ პირველის სასტიკი რეაქციის რეჟიმი—ასეთ ვითარებაში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დიდ რუს მწერალს ნ. გოგოლს.

უძლური აღმოჩნდა რეაქციის ყოველგვარი ცდები რეპრესიებითა და დევნით შეებოჭა და ჩაეხშო რუსეთის მოწინავე საზოგადოების ხმა. პროგრესული რუსული ლიტერატურა სასტიკად ამხილებდა ბატონყმური წყობის აუტანლობას, მშრომელი ხალხის ჩაგვრას, მწუხარებასა და ტანჯვას, ფართოდ ნერგავდა ხალხში განმათავისუფლებელ იდეებს, რუსეთის დიადი მომავლის რწმენას.

ნ. ვ. გოგოლმა, მაშინდელ სხვა საუკეთესო რუს მწერლებთან ერთად განამტკიცა და განავითარა რუსულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულება. თავის უკვდავ ნაწარმოებებში მან სასტიკი განაჩენი გამოუტანა თავადაზნაურულ-ჩინოვნიკურ რუსეთს. ისე როგორც პუშკინმა, ნ. გოგოლმაც პირველმა დაგვიხატა მისი თანამედროვე რუსეთის ცხოვრება, ბატონყმობის შავბნელი ხანის მამხილებელი სურათები, სამარცხვინო ბოძზე გააკრა გაბატონებული კლასის მანკიერი და უხამსი მსოფლმხედველობა და მორალი.

ნ. გოგოლის ბრწყინვალე ლიტერატურული მემკვიდრეობა სანიმუშო და მისაბაძი გახდა მსოფლიო პროგრესული მწერლობისათვის. დიდი რუსი შემოქმედის რეალიზმმა და ხალხურობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას საქართველოში. ჩვენმა დიდმა კლასიკოსებმა, რომლებმაც გაიარეს გოგოლის რეალისტური სკოლა, ულმობლად ამხილეს ძველი ცხოვრების უკუღმართობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და თავიანთი ლიტერატურული შემოქმედებით მტკიცედ დადგნენ მშრომელი ხალხის მხარეზე.

ნ. გოგოლი ულმობლად, სატირიკულად გვიხატავს რეაქციის მესვეურთა ყოფაცხოვრებასა და სულიერ სამყაროს, მათს განწირულებას, ამავე დროს ის შეჰხარის სიძლიერის, სიდიადისა და გამარჯვების ღრმა რწმენას, რომელიც ხალხშია. გერცენი ამის შესახებ წერდა: სანამ გოგოლი „დეპარტამენტის უფროსთა, გუბერნატორთა, მემამულეთა ოთახებშია, სანამ მის გმირებს წმ. ანას ორდენი ან კოლეჟსკი ასესორის ხარისხი მაინც აქვთ, მანამდე იგი მელანქოლიური და ულმობელია, აღსავსეა სარკაზმით, რომელიც ზოგჯერ ისე გაცინებს, რომ კრუნჩხვა მოგდის, ზოგჯერ კი—სიძულვილის თანაბარ ზიზღს იწვევს.

მაგრამ როცა მას, პირიქით, საქმე აქვს მალოროსიელ მეტლებთან, როცა იგი გადადის უკრაინელი კაზაკების ან ტრაქტირთან ხმაურით მოცეკვავე ახალგაზრდების სამყაროში, როცა გვიხატავს საცოდავ მოხუც გადამწერს, რომელიც ელდისაგან კვდება, იმიტომ რომ შინელი მოპარეს, მაშინ გოგოლი სულ სხვა ადამიანია. წინანდელივე ნიჭით იგი ნაზი, ადამიანური სიყვარულით აღსავსეა; მისი ირონია მსახვრალი და გესლიანი აღარ არის; ეს გრძნობიერი, პოეტური, უაღრესად მოყვარული გულია...“.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაშრომებსა და გამოსვლებში გოგოლის მიერ შექმნილი ბევრი სახე გამოყენებულია ხალხის მტრების — მენშევიკების, ესერების, კადეტებისა და ბურჟუაზიის სხვა ლაქიების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს შესანიშნავად ცხადყოფს დიდი რუსი მწერლის მიერ შექმნილი სახეების ბრწყინვალე შემეცნებითს ძალას, განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა ნ. გოგოლი რუსული დემოკრატიული ლიტერატურის წარმომადგენლად ჩათვალა, ხოლო ი. ბ. სტალინმა ნ. გოგოლს „დიდი რუსი მწერალი“ უწოდა.

გოგოლის სატირა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა მძაფრი იარაღია კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებული კლასების პარაზიტული, მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, მძლავრი იარაღია კაპიტალიზმის თანამედროვე წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც მზად არიან საკუთარი მოგებისათვის ახალი სისხლისმღვრელი ომის ცეცხლი დაანთონ მთელ მსოფლიოში.

ამიტომ არის, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, საბჭოთა ხალხთან ერთად, ნ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავს აღნიშნავს მთელი მოწინავე კაცობრიობა, მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ყველა ხალხი.

ნ. გოგოლის უკვდავ ქმნილებებში დახატული სახეები ბასრი იარაღია, ჯანსაღი სატირაა საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში წარსულის ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომელიც მათ ხელს უშლის იყვნენ კომუნიზმის აქტიური მშენებლები, ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანები.

ნ. გოგოლი მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია. მისი ბრწყინვალე ნაშრომები მთელი მსოფლიოს კულტურის უკვდავ ძეგლებად იქცა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ გააცამტვერა სოციალური უთანასწორობა, აღგავა ის სიმახინჯე, რაც ასე გენიალურად ამხილა ნ. ვ. გოგოლმა თავის შემოქმედებაში. ასეულ მილიონობით მოწინავე ადამიანი უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებს გენიალურ მხატვარს და პატრიოტს ნ. ვ. გოგოლს, რომელმაც თავისი შემოქმედებით უდიდესი წვლილი შეიტანა მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

# საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

25 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ელჩის ამხ. პანიუშკინის სახელზე გამოგზავნა პალატის ეგრეთწოდებული „კატინის საქმის“ გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარის რ. მედენის წერილი (რომელსაც დართული აქვს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 1951 წლის 18 სექტემბრის რეზოლუცია). თავის წერილში მედენმა სურვილი გამოთქვა მიიღოს საბჭოთა მთავრობისაგან რაღაც „დამამტკიცებელი საბუთები“ სამხედრო ტყვე პოლონელ ოფიცერთა შესახებ, რომლებიც ჰიტლერელმა დამნაშავეებმა 1941 წელს დახოცეს კატინის ტყეში.

29 თებერვალს სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ამის შესახებ გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ამასთან საელჩო გიბრუნებთ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილ მედენის წერილს და მასთან დართულ წარმომადგენელთა პალატის 1951 წლის 18 სექტემბრის რეზოლუციის ტექსტს, როგორც ისეთ საბუთს, რომელიც არღვევს საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და რომელიც შეურაცხმყოფელია საბჭოთა კავშირისათვის.

საელჩო მოგაგონებთ, რომ:

1. კატინის დანაშაულობის საკითხი ჯერ კიდევ 1944 წელს გამოიკვლია ოფიციალურმა კომისიამ და გამოარკვია, რომ კატინის საქმე ჰიტლერელ დამნაშავეთა საქმეა, რაც გამოქვეყნდა პრესაში 1944 წლის 26 იანვარს;

2. კომისიის ასეთი დასკვნის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამს რვა წლის განმავლობაში, უკანასკნელ ხანამდე.

ამის გამო საელჩოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ოფიციალური კომისიის დასკვნის რვა წლის შემდეგ კატინის დანაშაულობის საკითხის აღძვრა მიზნად უნდა ისახავდეს მხოლოდ იმას, რომ ცილი დასწამოს საბჭოთა კავშირს და, ამრიგად, გაამართლოს საყოველთაოდ ცნობილი ჰიტლერელი დამნაშავეები.

ამას თან ერთვის ოფიციალური კომისიის ზემოაღნიშნული ცნობა კატინის დანაშაულობის შესახებ“.

ნოტას თან ერთვის „გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მიერ კატინის ტყეში სამხედრო ტყვე პოლონელ ოფიცერთა დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომკვლევი სპეციალური კომისიის ცნობა“, რომელსაც ხელს აწერენ სპეციალური კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. ნ. ბურდენკო და სპეციალური კომისიის წევრები: აკადემიკოსი ალექსი ტოლსტოი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, აკადემიკოსი ვ. პ. პოტიომკინი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. გუნდოროვი და სხვ. სპეციალური კომისიის ეს ცნობა გამოქვეყნებული იქნა საბჭოთა პრესაში 1944 წლის 26 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავი

## ნ. ვ. გოგოლის ძეგლის გახსნა მოსკოვში

საბჭოთა კავშირის ხალხები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები პატივს სცემენ დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის ხსოვნას. მისი მადლიერი შთამომავალნი, ყოველივე იმ საუკეთესო განძის მემკვიდრენი, რაც კი შეუქმნია მრავალსაუკუნოვან კულტურას, უდიდეს სიყვარულსა და მადლობას გამოთქვამენ სიტყვის გენიალური ოსტატის, უკვდავ ქმნილებათა ავტორის, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისადმი.

ათასობით ადამიანი დაესწრო 2 მარტს მოსკოვში ნ. ვ. გოგოლის ძეგლის საზეიმო გახსნას. სადღესასწაულოდ მორთული არბატის მოედანი და მისი მახლობელი ქუჩები აივსო დედაქალაქის მშრომელებით, მეცნიერების, მწერლების, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და მოსწავლეების დელეგაციებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით. დამსწრეთა შორის არიან კულტურის უცხოელი წარმომადგენლები, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ შესანიშნავი წლისთავის აღნიშვნაში მონაწილეობისათვის.

დღის სამი საათია. ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების მეასე წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი ხსნის დიდი რუსი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

ნ. ს. ტიხონოვი ლაპარაკობს ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებთა შეუნელებელი ძალის შესახებ. ხატოვანი რუსული ენით დაწერილი მისი წიგნები, რომლებიც აღსავსეა ცხოვრების სიმართლით, ადამიანისადმი სიყვარულით, ხალხის შემოქმედებითი ძალისადმი რწმენით, სამშობლოს საუცხოო მომავლისადმი რწმენით, მთელი კაცობრიობის კუთვნილება გახდა.

დადგა ის დრო, რომელზეც ოცნებობდა დიდი რუსი მწერალი. ლენინ-სტალინის დიადი იდეების შუქით გასხივოსნებულმა საბჭოთა ხალხმა უმაგალითო სიმაღლეს მიაღწია, სიცოცხლით აღავსო ოდესღაც მძინარე სივრცეები, გარდაქმნა სამშობლო მიწა-წყალი.

— გოგოლს მოჰყვნენ სხვა ძლიერი მწერლები და განაგრძობენ მის მიერ დაწყებულ საქმეს, — ამბობს დასასრულ ნ. ს. ტიხონოვი, — ახალი ტალანტები, მწერლები, რომლებიც საბჭოთა ხალხიდან, სოციალისტური საზოგადოებიდან გამოვიდნენ, შექმნიან იმ სახელოვანი ეპოქის შესაფერ, ახალ ნაწარმოებებს, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ნ. ს. ტიხონოვი ხსნის დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლს.

იხსნება თეთრი ტილო, და შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგება ნ. ვ. გოგოლის მონუმენტური ქანდაკება, შესრულებული სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. ვ. ტომსკის მიერ.

კვარცხლბეკზე ოქროთი ამოკვეთილია სიტყვები:

„სიტყვის დიდ რუს ოსტატს
ნიკოლოზ ვასილის-ძე
გოგოლს
საბჭოთა კავშირის
მთავრობისაგან

1952 წლის 2 მარტი".

მწერალი გამოსახულია მთელი ტანით. იგი დგას ქუდმოხდილი და მარცხენა ხელში წიგნი უკავია. გოგოლის თვალი მიმართულია წინ, თითქოს იგი რუსეთის მომავალს ხედავდეს.

მოედნის სხვადასხვა კუთხიდან გოგოლის ბულვარისაკენ, სადაც ძეგლი დგას, მიემართებიან ადამიანები ვარდების, ჰორტენზიების, გლადიოლუსების დიდი თაიგულებით. რამდენიმე წუთის შემდეგ ცოცხალი ყვავილები ფარავს ძეგლის თითქმის მთელ კვარცხლბეკს.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გამოდის ლ. ლეონოვი, უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით — ა. კორნეიჩუკი. ისინი ლაპარაკობენ სიტყვის შთაგონებული ოსტატის ნ. ვ. გოგოლის სამარადისო დიდების შესახებ, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის შესახებ.

მიტინგი დამთავრებულია. ასობით მოსკოველმა მოწიწებით ჩაუარა დიდი რუსი მწერლის ძეგლს. (საკდესი).

## ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

გენიალური რუსი მწერლის, სიტყვის უდიდესი ოსტატის, რუსული სალიტერატურო ენის მცოდნისა და მკვლევარის ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილია საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მრავალი შრომა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავი აღნიშნა თავისი ორი განყოფილების — ლიტერატურისა და ენის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა სესიით.

სესია გაიხსნა 29 თებერვალს აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის გამოსვლით. მან თქვა:

— ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლი ეკუთვნის დემოკრატიული რუსული კულტურის შემქმნელთა რიცხვს. მისი შემოქმედება საბჭოთა ხალხის ეროვნული სიამაყეა. გოგოლი ჩვენთვის ძვირფასია როგორც სიტყვის უბადლო ოსტატი, რომელიც საოცრად ფლობდა მძლავრი რუსული ენის მთელ სიმდიდრეს, როგორც მწერალი-ჰუმანისტი, რომელმაც პროტესტის ხმა აღიმაღლა იმ სოციალური პირობების წინაალმდეგ, რომლებიც ამახინჯებდნენ და ასახიჩრებდნენ ადამიანებს, როგორც მწერალი, რომლის შემოქმედება გასხივოსნებულია ხალხისა და სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით.

გოგოლის წიგნები ამხილებენ ექსპლოატატორული კლასების პარაზიტიზმს, ნიღაბს ხდიან უსინდისო მომხვეჭთ და შემძენთ. ჩვენს დროში ეს წიგნები ემსახურებიან მთელ პროგრესულ კაცობრიობას, რომელიც რეაქციისა და ომის ძალების წინააღმდეგ იბრძვის.

ჩვენთან, საბჭოთა ადამიანებთან ერთად, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, დიდი რუსი ხალხის დიდი შვილის გოგოლის ხსოვნას პატივისცემით აღნიშნავს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

მოხსენებაში „ნ. ვ. გოგოლი და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა" სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ა. მ. ეგოლინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებნი, მიძღვნილი მისი დროის ყველაზე მწვავე საზოგადოებრივი საკითხებისადმი, რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას ემარებოდნენ თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოხსენება „ნ. ვ. გოგოლის მსოფლიო მნიშვნელობა" გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა მ. პ. ალექსეევმა.

სესიის პროგრამაშია მოხსენებანი „ნ. ვ. გოგოლის ენა და მისი მნიშვნელობა რუსული სალიტერატურო ენის განვითარებაში", „ნ. ვ. გოგოლის რეალისტური მეთოდი", „ნ. ვ. გოგოლი და თეატრი", „ნ. ვ. გოგოლი და უკრაინული ლიტერატურა" და სხვ.

დღეს სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

## ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

3 მარტს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

გენიალური მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მწერლები, მსახიობები, მხატვრები, მეცნიერების მოღვაწენი, ქალაქის საწარმოთა მუშამოსამსახურენი, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

თეატრის დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. სცენაზეა ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის დიდი პორტრეტი. ოქროსფრად ელვარებს შესანიშნავი თარიღი „100".

პრეზიდიუმში არიან ამხ. ამხ. ნაგები რ. კვირკველია, ზ. კეცხოველი, ა. გიგოშვილი, გ. ფოფხაძე, ბ. ნანიტაშვილი, პ. რატიანი, გ. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე, მ. მაღრაძე, ვ. ჭიაურელი, ნ. ვ. გოგოლის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის წევრები გ. ლეონიძე, ი. დოლიძე, ლ. ქიაჩელი, ს. შანშიაშვილი, ნ. კეცხოველი, ბ. ჟღენტი, ს. ჭილაია, უ. ჯაფარიძე, ა. ინაშვილი და სხვები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ სტალინური პრემიის ლაურეატმა პოეტმა გ. ლეონიძემ. დიდი რუსი პატრიოტი მწერლის, სიტყვის გენიალური მხატვრის იუბილე, — თქვა მან, — საბჭოთა კულტურის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს. ნ. ვ. გოგოლის ხსოვნის აღნიშვნა მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა ხალხის ღვიძლი, საკუთარი საქმე გახდა.

ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ. მან დაწვრილებით დაახასიათა დიდი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა, აღნიშნა, რომ მის შემოქმედებას თვალსაჩინო ადგილი უკავია რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გოგოლის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შექმნილი სახეები დღესაც ცოცხლობენ და ულმობლად ამხილებენ საზიზღარ იმპერიალისტებსა და მათ მსახურთ, რომლებიც ახალი ომისათვის ემზადებიან.

დიდი ჰუმანისტი მწერლის გოგოლის უკვდავი შემოქმედება თავისუფლების, სიმართლის იდეალებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის წმიდა საქმეს ემსახურება.

სხდომის მხატვრულ ნაწილში მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრის დადგმით წარმოდგენილ იქნა კომედია „რევიზორის" სცენები. მომღერლებმა შეასრულეს არიები ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებთა სიუჟეტებზე დაწერილი ოპერებიდან. (საქდესი).



უკრაინის სსრ. ნ. ვ. გოგოლის ძეგლი ქალაქ პოლტავაში.

ფოტო ს. შიმანსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

## გოგოლის დღეები საზღვარგარეთ

**ბუქარესტი.** მთელ რუმინეთში ფართოდ აღნიშნავენ ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავს. ბუქარესტის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მრავალი სტატია დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების, მსოფლიო ლიტერატურაზე გოგოლის ნაწარმოებთა გავლენის შესახებ. ყოველკვირეული „კონტემპორანულის" („თანამედროვე") უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ვრცელი სტატიები მ. სადოვეანუსი „ის, რაზეც გოგოლი ოცნებობდა", პოეტ მ. ბენიუკისა „გოგოლის უკვდავი შემოქმედება", პროფესორ იონ ვიტნერისა „გოგოლი და რუმინული ლიტერატურა".

გაზეთმა „უნივერსულმა" გამოაქვეყნა სტატია „გოგოლი — აბსოლუტიზმის ბრალმდებელი". კლუბებში, კულტურის სახლებში, საწარმოებში წაკითხულ იქნა ასობით მოხსენება, მოეწყო ათასობით საუბარი ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ბუქარესტში გამოვიდა საფოსტო მარკები, რომლებზეც გამოხატულია ნ. ვ. გოგოლის პორტრეტი და სცენები „ტარას ბულბადან" და „მკვდარი სულებიდან".

ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში ეწყობა დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებანი და ლექციები. მსოფლიო პროგრესული ლიტერატურისათვის კომედია „რევიზორის" მნიშვნელობის შესახებ წაკითხულ იქნა ლექცია ბუქარესტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. უკანასკნელ დროს ბიბლიოთეკების უმეტესობა შეივსო ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებთა ახალი გამოცემებით. ყველა საქალაქო, რაიონულ და უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკებში, აგრეთვე რუმინეთის წიგნის მაღაზიებში მზადდება რუსული ლიტერატურის გენიალური კლასიკოსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები. დიდი გამოფენა „ნ. ვ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება" გაიხსნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის ბუქარესტის სახლში. რუმინეთის გამომცემლობებმა გამოსაცემად მოამზადეს ნ. ვ. გოგოლის მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომელთა საერთო ტირაჟი იქნება 163 ათასი ცალი.

**ფხენიანი.** სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების საქალაქო და სასოფლო განყოფილებებში იმართება დიდი რუსი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები. საზოგადოების ლექტორები საწარმოებში კითხულობენ ლექციებს გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოება ყველგან აწყობს ფოტოგამოფენებს, რომლებიც მოსახლეობას აცნობენ ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კორეის გაზეთები იუბილეს უძღვნიან მრავალ სტატიას, აგრეთვე ბეჭდავენ მწერლის ნაწარმოებებს, თარგმნილს კორეულ ენაზე. იუბილესათვის მომზადებულია ჟურნალების — „ჩოსო ჩინსონის" („კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობა") და „ჩოსო მუნხვას" („კორეა-საბჭოთა კავშირის კულტურა") სპეციალური ნომრები.

ფხენიანის დრამატულმა თეატრმა დასადგმელად მოამზადა კორეულ ენაზე თარგმნილი გოგოლის კომედია „რევიზორი", რომლის პრემიერა 4 მარტს გაიმართება. (საკდესი).

## ნ. ვ. გოგოლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

**უჟგოროდი,** 28 თებერვალი. (საკდესი). გუშინ უჟგოროდის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები „პატრიოტიზმი ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებაში" და „ნ. ვ. გოგოლი რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის შეფასებით" გააკეთეს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვ. ბასარაბმა და გ. როსიისკაიამ.

კონფერენციაზე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა გააშუქებენ დიდი რუსი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ოც სხვადასხვა თემას.

## გენიალური რუსი მწერალი

ნ. ვ. გოგოლი რუსული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწეა. იგი შედის რუსული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც დიდი მხატვარი-პატრიოტი, რომლის შემოქმედებამ უაღრესად მაღალ საფეხურზე აიყვანა რუსული მხატვრული პროზა და მას მსოფლიო დიდება მოუპოვა.

გოგოლი შემოქმედების ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა ნიკოლოზ პირველის რეაქციამ სისხლში ჩაახრჩო დეკაბრისტების მოძრაობა. მაგრამ მოწინავე რუსული ლიტერატურა გაბედულად იბრძოდა რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

მოწინავე რუსული საზოგადოების იდეების ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი ამ დროს იყო ნ. ვ. გოგოლი. ამიტომ იყო, რომ გოგოლი ბელინსკიმ გამოაცხადა ყოველივე პროგრესულის დროშად.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც გოგოლი ერთბაშად მოექცა რუსული საზოგადოების ყურადღების ცენტრში, იყო მისი „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში".

ამ ნაწარმოებში მკითხველს არაჩვეულებრივად იზიდავდა მისი დამახასიათებელი თვისებანი — ხალხურობა, თხრობის ორიგინალური მანერა, ღრმა ლირიზმი და მეტყველი, ემოციური ენა.

„საღამოებით" გოგოლს რუსულ პროზაში შეჰქონდა ახალი ელემენტი და შეიძლება ითქვას, რომ რუსული „ლექსი პროზად" გოგოლის თხზულებათა გავლენით ვითარდებოდა. პირველად პუშკინი მიესალმა გოგოლის „საღამოების" გამოსვლას.

„აი ნამდვილი მხიარულება, — წერდა იგი—გულწრფელი, ძალდაუტანებელი, მანჭვა-გრეხისა და მედიდურობის გარეშე. და შიგადაშიგ როგორი პოეზიაა! როგორი გრძნობიერება! ყოველივე ეს ისე უჩვეულოა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურისათვის, რომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ".

ბელინსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ პირველი დიდება გოგოლმა თავისი შესანიშნავი „საღამოებით" მოიხვეჭა.

1835 წელს გამოქვეყნდა გოგოლის ახალი წიგნი „მირგოროდი". „მირგოროდის" რეალისტური მეთოდით გოგოლი პრინციპულად უპირისპირდებოდა ადრინდელ ლიტერატურას. ავტორს პერსონაჟებად შემოჰყავდა უბრალო ადამიანები ქვედა ფენებიდან. ეს წიგნი აღბეჭდილი იყო ხალხური სულით. ყოველივე ეს კრიტიკული რეალიზმისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციის გარკვეული გამოვლინება იყო. ეს ტენდენცია შეუმჩნეველი არ დარჩა „მშფოთვარე ბესარიონს", რომელიც „მირგოროდის" შესახებ წერდა: „გოგოლის მოთხრობები ხალხურია უაღრესად, მაგრამ ხალხურობა არა მარტო ღირსებაა, არამედ აუცილებელი პირობაც არის ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებისა, თუ ხალხურობაში ვიგულისხმებთ ამა თუ იმ ქვეყნის — ზნე-ჩვეულებათა, წესებისა და ხასიათების დახატვის სისწორეს".

„მირგოროდის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა „ტარას ბულბა", რომელშიც ავტორმა ღრმა პატრიოტული პათოსით აგვისახა თავისი ხალხის ისტორიულ-გმირული ეპოპეა.

„ტარას ბულბაში" განსახიერდა პატრიოტული სულისკვეთება, ხალხის გაუტეხელი მისწრაფება თავისუფლებისადმი. გოგოლი მხატვრული ოსტატობის გასაოცარი ძლიერებით გვიხატავს ბულბას სულიერ ტრაგიზმს, როცა იგი თავისი სამშობლოს მიწა-წყალზე მტრის ურდოების თარეშს უცქერის.

ბელინსკი აღტაცებული იყო ტარას ბულბას გმირული სახით. „ტარას ბულბა" არის ნაწყვეტი, ეპიზოდი, ამოღებული ხალხის ცხოვრების დიდი ეპოპეიდან,—წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი,—თუ ჩვენს დროში შესაძლებელია ჰომეროსული ეპოპეა, მაშინ აი მისი უმაღლესი ნიმუში, იდეალი და პროტოტიპი!... და როგორი ყალამია, ფართო და მოქნეული... როგორი ფერებია, ელვარე და თვალის მომჭრელი! და როგორი პოეზიაა, ენერგიული, მძლე, ისეთი, როგორიც თვით ზაპოროჟელთა სეჩი იყო... ის ბუდე, საიდანაც ამოფრინდება ხოლმე ყველა ეს ამაყი და ლომივით მაგარი ვაჟკაცი".

ტარას ბულბას და მისი შვილების მხატვრული სახეები ეპიკურ ხასიათს ატარებენ, რამდენადაც ისინი ღრმად არიან დაკავშირებული ხალხურ ცხოვრებასთან და ხალხური პოეზიის ტრადიციებთან. ამასთან ერთად „ტარას ბულბაში" გოგოლი, როგორც შემოქმედი, მაღლდება უმძაფრეს ლირიზმამდე, რაც მჟღავნდება არა მარტო ადამიანის სულიერი ცხოვრების რთული მომენტების ასახვით, არამედ მშობლიური ბუნების ჯადოსნური დასურათებითაც.

ისტორიულ-პატრიოტულ თემასთან ერთად „მირგოროდში" შედის რეალისტურ-საყოფაცხოვრებო მოთხრობებიც—„ძველი დროის მემამულენი" და „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან".

მოთხრობაში „ძველი დროის მემამულენი" ავტორი გვიხატავს ძველი თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენლების — მოხუცებული ცოლქმრის უფერულ და უმიზნო ცხოვრებას. მათთვის უცხოა ყოველგვარი საზოგადოებრივი ინტერესი, ისინი აპათიური არიან ყველაფრისადმი, გარდა საჭმლისა, რომელსაც დღედაღამ თავს ევლებიან თავიანთი ფიქრითა და გონებით. გონებრივი შეზღუდულობით და უმეცრებით აფანასი ივანოვიჩი და პულხერია ივანოვნა ბატონყმური ცხოვრების ღვიძლი შვილები არიან. საშინელი და დამაფიქრებელია ასეთი ადამიანების ცხოვრება, მაგრამ ავტორი თავის გმირებს მკაცრი სარკაზმით არ გვისურათებს. იგი ცრემლნარევი სიცილით გვიამბობს მათ შესახებ. გოგოლის ირონია აქ მსუბუქი და მშვიდია, მაგრამ მამხილებელი და ძლიერია თავისი შინაგანი ძალით.

1834-1835 წლები გოგოლის შემოქმედებითს ცხოვრებაში აღიბეჭდა მისი ინტელექტუალური ცხოვრების არაჩვეულებრივად მძაფრი გამოვლინებით. ამ პერიოდს ეკუთვნის „პეტერბურგის მოთხრობები", რომლებშიც ასახულია ოცნებისა და სინამდვილის ერთმანეთთან შეჯახება, გოგოლის ოპოზიციური განწყობილება თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ქალაქის მეშჩანურ-ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ.

ღრმა ჰუმანიზმით არის აღბეჭდილი გოგოლის მოთხრობა „ნევის პროსპექტი", რომლითაც იხსნება „პეტერბურგის მოთხრობების" ციკლი.

ავტორს დიდი მხატვრული ალღოთი აქვს დაპირისპირებული ერთმანეთთან ერთი მხრივ ნევის პროსპექტის მომხიბლავი მშვენიერება, და მეორეს მხრივ ძველი რუსეთის სატახტო ქალაქში გამეფებული შემაძრწუნებელი სული. მწერალი მთელი სიცხადით გვიჩვენებს ადამიანის სავალალო ბედს, მის სოციალურ ტრაგიზმს მეფის რუსეთში. მხოლოდ ოცნებაში, მხოლოდ სიზმარში შეიძლება იგრძნოს თავი ბედნიერად ადამიანმა, სინამდვილე კი კომშმარულია და მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია მასთან შერიგება, უთუოდ მარცხდება მასთან ტრაგიკულ შეჯახებაში.

მოთხრობა „პორტრეტში" გოგოლი თემად იღებს ხელოვანის ტრაგიკულ კონფლიქტს სინამდვილესთან. ამ მოთხრობაში იგი უფრო აღრმავებს იმ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ საკითხებს, რომლებსაც „ნევის პროსპექტში" ეხებოდა. თავისი ძლიერი კალმით მხატვარი ნიღაბს ხდის გარეგნული ბრწყინვალებითა და მდაბალი ინსტიქტებით გატაცებულ არისტოკრატიულ საზოგადოებას. მწერლის დაკვირვებული თვალი ღრმად სწვდება „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა" მძიმე ხვედრს, რომელიც გამოწვეულია სოციალური უსამართლობით. მან იცის, რომ სატახტო ქალაქში გამეფებული ანგარება სულიერადაც ალატაკებს ადამიანს, ზნეობრივად სცემს მას, ღუვიძებს ხარბ მისწრაფებას ნივთისა და ოქროსადმი.

„პორტრეტის" მთავარი გმირის შემოქმედებითი ცხოვრების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით ავტორს მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია ღირსეულად დააფასოს ჭეშმარიტი შემოქმედება, ხელი შეუწყოს მის განვითარებას. პირიქით, ეს საზოგადოება ძალიან ხშირად ჩანასახშივე ახშობს ჭეშმარიტი ტალანტის ყოველ გამოვლინებას.

განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს გოგოლის რეალიზმი მოთხრობაში „შინელი", რომელიც აგრეთვე პეტერბურგის ციკლს ეკუთვნის. „შინელში" ავტორმა საოცარი ოსტატობით გვიჩვენა მეფის რუსეთის პატარა მოხელის შემაძრწუნებელი ინდიფერენტიზმი და გონებაშეზღუდულობა.

გოგოლის პროზის ამ შედევრს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული პროზის განვითარებაში. ამ მოთხრობის ისტორიული ღირებულება კარგად გამოხატა დოსტოევსკიმ თავის ცნობილ გამოთქმაში: „ჩვენ ყველანი „შინელიდან" გამოვედით!".

პეტერბურგის მოთხრობები გოგოლის შემოქმედებითს ევოლუციაში წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, რომლითაც იგი ძლევამოსილად მიიმართება კრიტიკული რეალიზმის მწვერვალებისაკენ. აქ გოგოლი უკვე გვევლინება როგორც რუსული ლიტერატურის „ახალი კოლუმბი", რომელმაც ბელინსკის სიტყვით „სამყაროს ახალი, უცნობი მხარე აღმოუჩინა".

ამ მოთხრობებში გარკვევით იგრძნობა მწერლის დიდი მამხილებელი ნიჭი, მაგრამ გოგოლის მხატვრული გენია, მისი კრიტიკული რეალიზმის უძლეველი ძალა მთელი სისრულით გამომჟღავნდა მის უკვდავ კომედიაში „რევიზორი" და რუსული ცხოვრების ილიადაში—„მკვდარ სულებში".

„რევიზორი" რუსული მხატვრული რეალიზმის შესანიშნავი ძეგლია. ამ კომედიის გენიალურ სოციალურ განზოგადებებში ავტორი შეუდარებელი ოსტატობით აშიშვლებს ნიკოლოზ პირველის ბიუროკრატიულ-მონარქიულ სისტემას.

თეატრს გოგოლი სოციალურ და ესთეტიკურ აღმზრდელობით ფუნქციას ანიჭებდა. გოგოლის დრამატულმა რეალისტურმა კონცეფციამ კლასიკური მხატვრული განსახიერება მის „რევიზორში" ჰპოვა.

„რევიზორი" პირველად დაიდგა 1836 წლის 19 აპრილს პეტერბურგში. სპექტაკლმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. „რევიზორმა" წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა რუსულ მოწინავე საზოგადოებაზე. მაგრამ რეაქციული პრესა გაშმაგებით დაესხა თავს პიესის ავტორს და მის გენიალურ ქმნილებას „უმსგავსი ფარსი და სინამდვილის კარიკატურა" უწოდა.

მართალია, გოგოლმა „რევიზორის" ფონად აიღო პროვინციის ქალაქი, სადაც ვითარდება ამ კომედიის გმირების მოქმედება, მაგრამ თუ ღრმად დავუკვირდებით მოქმედებისა და ხასიათების განვითარებას, იმ დროისათვის დამახასიათებელ სოციალურ ტიპიურ გარემოს, ცხადი გახდება, რომ ავტორის მხატვრული განზრახვა იყო თავისი სატირული მახვილით ემხილებინა მთელი ბიუროკრატიული რუსეთი, თავს დასხმოდა მოხელეთა საზოგადოებას, ემხილებინა მათი თვითნებობა და აღვირახსნილობა.

1835 წელს გოგოლი შეუდგა თავისი უდიდესი შემოქმედებითი მონაფიქრის განხორციელებას. ეს იყო მისი უკვდავი ქმნილება—პოემა-რომანი „მკვდარი სულები". ამ პოემის პირველ ტომზე მუშაობას გოგოლმა თითქმის შვიდი წელი მოანდომა. ამ თხზულების პირველი თავები მან წაუკითხა თავის გენიალურ მეგობარს პუშკინს, რომელმაც „მკვდარი სულების" სიუჟეტი მიაწოდა გოგოლს. გოგოლი პუშკინს მუდამ თავის შთამაგონებლად თვლიდა.

„მკვდარი სულები" მხატვრული შემოქმედების ერთი უდიდესი ძეგლთაგანია. ამ უკვდავ პოემა-რომანში მთელი სისრულით გამომჟღავნდა გოგოლის მხატვრული გენია, მისი კრიტიკული რეალიზმის ძალა. გოგოლმა „მკვდარ სულებში" თავისი უბადლო სატირით სასტიკად ამხილა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის სახელმწიფოებრივი სისტემა, გაბატონებული კლასების პარაზიტიზმი და თავგასულობა. ეს იყო საბრალდებო აქტი ცარიზმის წინააღმდეგ. მწერალს მზის სინათლეზე გამოჰყავდა მკვდარი და ცოცხალი სულების მფლობელთა კლასი, რომლის ხელში გმინავდა მშრომელი ხალხი. მწერალმა დაგვიხატა მემამულური ბატონყმური საზოგადოების შემაძრწუნებელი სურათები, შექმნა სოციალურ ტიპთა ვრცელი გალერია.

„მკვდარი სულების" დიდი ისტორიული მნიშვნელობა მთელი სიღრმით შეაფასა ბელინსკიმ, რომელიც წერდა: „მკვდარი სულები" წარმოადგენს წმინდა რუსულ, ნაციონალურ ქმნილებას, სახალხო ცხოვრების წიაღიდან ამოღებულს. იგი იმდენად ჭეშმარიტია, რამდენადაც პატრიოტული. ეს თხზულება ულმობლად ხდის ფარდას სინამდვილეს და გაღენთილია... ძლიერი სიყვარულით რუსული ცხოვრების ნაყოფიერი მარცვლისადმი, იგი არის უსაზღვროდ მხატვრული ქმნილება, კონცეფციითაც და შესრულებითაც, მოქმედ პირთა ხასიათითაც და რუსული ყოფის წვრილმანებითაც, და ამავე დროს თავისი ღრმა აზრით სოციალურია, საზოგადოებრივია და ისტორიული...".

„მკვდარ სულებში" ასახულია არა მარტო მეფის რუსეთის შემზარავი სინამდვილე, არამედ მასში ჩაქსოვილია მწერლის დიდი ოცნება თავისი ხალხის ბრწყინვალე მომავალზე, დიდი პატრიოტი მწერლის მტკიცე რწმენა, რომ რუსეთი მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს პროგრესულ კაცობრიობას. ეს დიდებული პატრიოტული იდეა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატა მწერალმა მკვდარი სულების პირველი ტომის ფინალში „მფრინავი ტროიკის" მხატვრული სახით.

ამ მხატვრულ სახეში გენიალურმა რუსმა მწერალმა იწინასწარმეტყველა თავისი ხალხის მოწოდება და ბრწყინვალე მომავალი. ისტორიის შემდეგმა მსვლელობამ სავსებით გაამართლა და დაადასტურა „მკვდარი სულების" ავტორის ეს პატრიოტული იდეა.

40-იან წლებში გოგოლმა რეაქციონერი მეგობრების ზეგავლენით, ღრმა სულიერი კრიზისის დროს გამოაქვეყნა მცდარი, რეაქციული წიგნი „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერისა".

მთელმა მოწინავე რუსულმა კრიტიკამ და განსაკუთრებით რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელმა ბელინსკიმ მრისხანე წერილით უპასუხა გოგოლს და დაგმო მწერლის მცდარი და გაუმართლებელი ნაბიჯი.

გოგოლის კრიტიკული რეალიზმის უდიდეს ძალას და მნიშვნელობას უნდა მიეწეროს ის, რომ რევოლუციის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ფართოდ სარგებლობდნენ მისი მხატვრული სახეებით. ხალხის მტრებთან ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადები ლენინი და სტალინი თავიანთ შრომებში და გამოსვლებში ხშირად მიმართავენ გოგოლის მდიდარ ტიპაჟს.

გოგოლის მიერ შექმნილ მხატვრულ განზოგადებათა მნიშვნელობა ბევრად სცილდება იმ ისტორიულ ეპოქას, რომელშიც ისინი შექმნა გენიალურმა რუსმა მხატვარმა. გოგოლის უბადლო ყალმით დახატული პარაზიტული საზოგადოების წარმომადგენელთა მახინჯი სახეები ნათლად წარმოგვიდგენენ კაპიტალისტურ სამყაროში გამეფებულ მტაცებლურ ეგოიზმს, ულმობელ ექსპლოატაციას და ველურ ინსტინქტებს.

გოგოლის სარკასტული სიცილი დღესაც ამხილებს ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა სოციალურ ბოროტებას. კვლავ ახალი ძალით გაისმის გოგოლის სიტყვები ისტორიის შემოქმედი ძალის—ხალხის ბრწყინვალე მომავლის შესახებ.

**ანა ნიკოლაძე**

# ...ჩემი სახელი, ჩემი შრომები რუსეთის კუთვნილება იქნება...

## ხალხის გულის მესაიდუმლე

თებერვლის სუსხიანი დღეა. დანილოვის მონასტრის სასაფლაოსაკენ სამგლოვიარო პროცესია მიემართება. ზღვა ხალხი მიაცილებს ცხედარს, სჭარბობს მოსწავლე ახალგაზრდობა, პროფესურა. ყინვა და თოვლი ვერ შეაფერხებს — სამარის კარამდე მიაცილონ საამაყო ადამიანი, ხალხის მისწრაფებათა გამომხატველი, ხალხის გენიის გამომსახველი. მერე რა უდროოდ შეწყდა საყვარელი ადამიანის გულისძგერა. 43 წელი—ეს ხომ ნიჭის გაფურჩქვნის, ამაღლობის პერიოდია.

ერთი ცნობისმოყვარე ეკითხება სტუდენტს:

— ვისა მარხავენ?

— ვისა? მარხავენ გოგოლს, და ჩვენ ყველანი მისი სისხლის ნათესავნი ვართ, ჩვენთან არის მთელი რუსეთი.

მართლაც მთელი პროგრესული რუსეთი განიცდიდა მწუხარებას თავისი საუკეთესო შვილის, საამაყო მწერლის დაკარგვის გამო.

1852 წლის 21 თებერვალს (4/III) რუსმა ხალხმა დაკარგა ადამიანი, რომელმაც იგი განადიდა, მისი გენია გამოავლინა და ხალხის შემოქმედების ოქროს ფონდი ძვირფასი ქმნილებებით გაამდიდრა. ხალხის საგანძურის გამამდიდრებელი თვითონ ისეთი „შეძლებული" აღმოჩნდა, რომ დარჩენილი ქონების აღწერისას ნუსხაში აღინიშნა—„უბრალო ტანსაცმელი და სხვა არაფერი".

გოგოლს გამარჯვება თავიდანვე როდი ხვდა წილად. ნარეკლიანი გზის გაკაფვა მასაც დასჭირდა. ასეთი იყო ძველად ყოველი დიდი შემოქმედის ხვედრი. მისმა პირმშომ — იდილიამ „განც კუხელგარტენმა" (ვ. ალოვის ფსევდონიმით გამოქვეყნდა) მზის სინათლე 1829 წელს იხილა. დებიუტანტის ეს ნაწარმოები წიგნის მაღაზიების თაროებზე ხელუხლებლად ეწყო. მას მკითხველის თვალი არ მიეკარებია. მხოლოდ „მოსკოვსკი ტელეგრაფმა" და ფადეი ბულგარინის გამყიდველმა „სევერნაია პჩელამ" „მოწყალება" მოიღეს და დამცინავი რეცენზიებით აღნიშნეს „განცი". კრიტიკის ასეთმა მტრულმა გამოსვლამ აღაშფოთა ავტორი. მან წვითა და დაგვით ნაშოვნი გროშებით შეისყიდა ყველა მაღაზიაში თავისი „პირმშო" და გაანადგურა.

პირველმა მარცხმა ვერ შეანელა გოგოლის შემოქმედებითი წვა. მოწოლილი აზრები ქაღალდზე გადატანას მოითხოვს, მხატვრული სახეები ხორცის შესხმას, მშობლიური კუთხის წარმტაცი პეიზაჟები სიცოცხლის შთაბერვას.

1831 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში". საზოგადოებრიობა ამ ნაწარმოებს დიდი აღტაცებით შეხვდა. მკითხველს ხიბლავდა „დიკანკის" ხალხურობა, იუმორი, რეალური სახეები.

„დიკანკის" პირველი მოთხრობის პირველივე ფრაზა „სოროჩინცის ბაზრობიდან": „რა დამათრობელია, რა წარმტაცი ზაფხულის დღე მალოროსიაში" პოეტური განწყობილებით არის აღსავსე, და ასეთია მთელი ნაწარმოები.

„დიკანკის საღამოების" წარმატებით აღფრთოვანებული გოგოლი ინტენსიურად მუშაობს და 1835 წლის დასაწყისში აქვეყნებს „მირგოროდს".

„მირგოროდის" მოთხრობათა ციკლში გოგოლის იუმორი სევდით არის გამსჭვალული. კითხულობთ, მაგალითად, „ამბავს იმისას, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან", და თქვენს სახეს ღიმილი არ შორდება, იცინით გულიანად და თან გაოცებთ მოქმედ პირთა ჩამორჩენილობა, წვრილმანობა. მაგრამ აი გათავდა მოთხრობა—თვალზე ცრემლი მოგადგათ და იგონებთ ჩვენი დიდი პოეტის სიტყვებს, რომ „სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა".

სულ სხვა ხასიათისაა ეპოპეა „ტარას ბულბა". რა წარმტაცი საღებავებით არის მოცემული ზაპოროჟიეს კაზაკების ყოფა, მათი თავგანწირული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. უყურებთ ტარასს, ოსტაპს, და გული სიამაყით გევსებათ, რომ ხალხის წიაღიდან წარმოიშვნენ ასეთი თავდადებული ადამიანები.

აი მტრის ბანაკში გადასულ თავის შვილს ანდრიას შეეფეთა ტარას ბულბა:

„იდექ, არ გაინძრე! მე გშობე, მევე უნდა მოგკლა", თქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და მხრიდან თოფი გადმოიღო"... გულგანგმირული გდია კალმით ნახატი, იშვიათი სილამაზის ვაჟკაცი ანდრია. კითხულობთ გატაცებით ამ ადგილს და თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდთ. რამ გამოიწვია ეს ცრემლი? ნუ გგონიათ, რომ მოკლულისადმი სიბრალულის გრძნობამ. არა, მოღალატე, სამშობლოს გამყიდველი სიბრალულის ღირსი არ არის. მაშ ვინ გებრალებათ — მკვლელი თუ მოკლული? ცრემლები ტარასს ეკუთვნის. გებრალებათ ეს დევგმირი მოხუცი, რომ ასეთი შვილის მამაა. ეს ცრემლი წმიდაა, თხრობის დიდი ოსტატის მიერ გამოწვეული. იღუპება ტარასის პირმშო, მისი სასახელო შვილი ოსტაპი. აქ უკვე მწუხარებას ტარასთან ერთად თქვენც განიცდით, მაგრამ გაგონდებათ ამავე მოთხრობაში ავტორის ლაკონიური სიტყვები: „კიდევ ეყოფათ თოფის წამალი, ბატკო, კიდევ გვიჭრის ხმლები, ჯერ არ დაღლილან, არ გატეხილან კაზაკები". გწამთ ხალხის ძალა და უერთდებით ავტორს, რომელიც ამ მშვენიერი გმირული ეპოპეის დამთავრებისას შესძახის: „განა მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი ცეცხლი და სატანჯველი, ან ისეთი რამ ძალა, რომ რუსის ძალა სძლიოს?". გავიხსენებთ რუსეთის ხალხის ისტორიულ ბრძოლებს, მოვიგონებთ ახლახან გამარჯვებით დამთავრებულ დიდ სამამულო ომს, და გოგოლთან ერთად სიამაყით ვიმეორებთ —დიახ, არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელმაც სძლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს.

პეტერბურგის მოთხრობებში—„ნევის პროსპექტი", „პორტრეტი", „შინელი" და სხვ. გოგოლი გვიხატავს ბიუროკრატიული სატახტო ქალაქის ცხოვრებას. ამ ქალაქში თავი მოუყრიათ მჩაგვრელებს და ჩაგრულებს, დიდ ბობოლა მოხელეებს და პატარა აკაკი აკაკიევიჩებს.

გოგოლის იუმორი ამ მოთხრობებში უფრო მძაფრ სახეს იღებს და პროზული ამბების სატირული საღებავებით გადმოცემით ავტორი შემოქმედებითს მწვერვალს აღწევს. ბატონყმურ-ცარისტულ რეჟიმს იმ პერიოდში ასეთი მკაცრი მამხილებელი არა ჰყოლია.

გოგოლის „რევიზორი"—აი ქმნილება უნაკლო და უზადო. ყველასათვის ცნობილ ამ შესანიშნავი კომედიის დიდ მიზანდასახულობას რომ არ შევეხოთ, საკმარისია „რევიზორი" განვიხილოთ თავისი აღნაგობის მხრივ, რათა დავრწმუნდეთ ამ მიუწვდომელ მწვერვალამდე აყვანილ ნაწარმოების სიდიადეში. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი პერსონაჟი და სიტუაცია არ ახლავს „რევიზორს!" ყოველივე ისეა აგებული, რომ მუსიკალური პარტიტურის შთაბეჭდილებას ახდენს. „რევიზორით" ისეთი მათრახი გადაჰკრა გოგოლმა ბიუროკრატიულ დამყაყებულ ბატონყმურ რეჟიმს, რომ მისი დარტყმის სიმწვავე მოუშუშებელ იარად გადაიქცა.

1842 წლის 21 მაისს დაიბეჭდა გოგოლის „მკვდარი სულები". ამ გენიალური ქმნილებით გოგოლმა მძლავრი ლახვარი ჩასცა თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას.

ლენინი წერილში „კიდევ ერთი გალაშქრება დემოკრატიაზე" 1912 წელს იგონებდა ნეკრასოვის პოემიდან „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" სტრიქონებს:

„ეჰ, ნეტავ, როდის მოვა დრო
(მოდი, მოველით, დროვ სასურველო!),
ხალხი ბაზრიდან არა ბლიუხერს
და არა მილორდს ვიღაც სულელსა, —
ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს
წაიღებს შინა..."

ეს დროც დადგა. ტარას ბულბების შთამომავლებმა პრუსიის გენერლის გებჰარდ ლებერეხტ ბლიუხერის უხეირო სურათები ნაგავს გაატანეს, მათე კომაროვების ავანტიურისტული, უნიათო რომანები „ინგლისელი მილორდები" დავიწყებას მისცეს, სამაგიეროდ მილიონიანი ტირაჟებით გამოცემული ბელინსკისა და გოგოლის თხზულებებით თავიანთი წიგნის კარადები დაამშვენეს.

თავისუფალი, ლაღი, ძლევამოსილი ხალხი პატივისცემით იგონებს თავის წინაპარს და გულის მესაიდუმლეს ნიკოლოზ გოგოლს.

ა. ბურთიკაშვილი



## რ უ ს ე თ ო!...

### (ნაწყვეტი ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულებიდან")

ეჰ, ტროიკავ! ფრთოსანო ტროიკავ, ვინ გამოგიგონა? მხოლოდ მკვირცხლი ხალხი შეძლებდა შენს შექმნას იმ მიწაზე, რომელსაც ხუმრობა არ უყვარს, და რომელიც ნახევარ სამყაროზე ტრიალ მინდვრად გადაშლილა, მოდი და თვალე ვერსები, სანამ თვალი არ აგიჭრელდება. თითქოს რთული სამგზავრო მოწყობილობა არა ხარ, რკინის ხრახნით როდი ხარ შეკრული, არამედ სახელდახელოდ, მარტო ნაჯახითა და საჭრეთლით გამოუთლიხარ და აუწყიხარ იაროსლაველ მარჯვე გლეხს. მეეტლეს გერმანული ბოტფორტი როდი აცვია; მხოლოდ წვერი და ხელთათმანი გააჩნია და ეშმაკმა იცის რაზე ზის; მაგრამ რომ წამოიწევს და შოლტს მოიქნევს, თანაც სიმღერას შემოსძახებს — ცხენები გრიგალივით მოსწყდებიან, თვლების წკირები მთლიან წრედ აბზრიალდებიან, აზანზარდება გზა, შეჰყვირებს და შედგება შეშინებული ქვეითი მგზავრი! და აი იგი მიჰქრის, მიჰქრის, მიჰქრის!.. და აი უკვე შორს მოჩანს, რომ რაღაც ბუღს აყენებს და ჰაერს ჰკვეთს.

განა შენც ისე არ მიჰქრი, რუსეთო, როგორც მარდი ტროიკა, რომელსაც ვერაფერი დაეწევა? შენს ქვეშ გზას ბოლი ასდის, გრიალებენ ხიდები, ვერაფერი ვერ გეწევა და ყველაფერი უკან რჩება. შედგება განგების სასწაულით განცვიფრებული მგზავრი. ელვა ხომ არ არის, ზეციდან ჩამოვარდნილი? რას ნიშნავს ეს თავზარდამცემი სწრაფვა? და რა იდუმალი ძალაა ამ ქვეყნად ჯერ არნახულ ბედაურებში? ეჰ, ბედაურებო, ბედაურებო, რა ბედაურები ხართ! ქარიშხალი ხომ არ დაბუდებულა თქვენს ფაფარში! მახვილ სმენად ხომ არ გადაქცეულა თვითეული თქვენი ძარღვი? მაღლიდან მოგესმათ თუ არა ნაცნობი სიმღერა, ერთბაშათ და ხალისიანად დაძაბეთ ფოლადის მკერდი, თითქმის ფეხს არ აკარებთ მიწას, ჰაერში მფრინავ, გაბმულ ხაზებად იქეცით და მიჰქრით... რუსეთო, საით მიჰქრი, გამეცი პასუხი? პასუხს არ იძლევა. საოცრად ჟღერს ეჟვანი; გრიალებს და ქარიშხლად იქცევა დაფლეთილი ჰაერი; გვერდით ჩაიქროლებს ყველაფერი, რაც კი რამ არის ამ ქვეყნად, ალმაცერად უცქერიან, განზე დგებიან და გზას უთმობენ მას სხვა ხალხები და სახელმწიფოები.

## ნ. გოგოლის კომედიები ქართულ სცენაზე

1881 წლის 2 მარტს თბილისში ქართული თეატრის დასს უნდა წარმოედგინა გ. ერისთავის „დავა". ამ დროს მოვიდა ცნობა რევოლუციონერების მიერ იმპერატორის მოკვლის შესახებ, და პოლიციის ბრძანებით წარმოდგენები შეწყდა. გაზეთმა „დროებამ" იმპერატორის მოკვლის ცნობასთან ერთად პირველ გვერდზე გამოაქვეყნა აკაკის ლექსი: „დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემოგვძახა: „გაზაფხული! გაზაფხული! გულს იმედი დამესახა"... თვე-ნახევარი გავიდა ამ დღიდან და ქართული თეატრის კარი გამოკეტილი იყო. მხოლოდ 19 აპრილისათვის მიეცა თეატრს წარმოდგენების განახლების უფლება. 19 აპრილს გაზეთი „დროება" აცხადებდა: „დღეს საღამოს არის პირველი. ქართული წარმოდგენა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ შეჩერებული იყო. წარმოადგენენ გოგოლის კომედიას „რევიზორს". ამრიგად, იმპერატორის მოკვლის დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თეატრი გამოეხმაურა თვითმპყრობელობის მამხილებელი ნაწარმოების — „რევიზორის" დადგმით.

ამ მღელვარე დროს ქართული თეატრის მიერ „რევიზორის" წარმოდგენა გამომხატველი იყო რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივი ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ მთელი 40 წლის მანძილზე სასცენო განსახიერების რეალისტური სკოლის მამამთავარმა ვასო აბაშიძემ გოგოლის „რევიზორი" დაამკვიდრა ქართული თეატრის რეპერტუარში.

ქართულმა თეატრმა 1886 წელს ზეიმით აღნიშნა გოგოლის გენიალური ქმნილების „რევიზორის" დადგმის 50 წლისთავი. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია" აღნიშნავდა „რევიზორის" უაღრეს ეროვნულობას და ამასთანავე მის საკაცობრიო მნიშვნელობას, მის უჭკნობ და უკვდავ მხატვრობას. „ორმოცდაათი წელი იდგმება „რევიზორი" და დღემდე არც დაძველება დასტყობია და არც მომხიბლაობა დაუკარგავსო,—წერდა გაზეთი „ივერია" (1886 წ. № 97). ქართულმა თეატრმა ამ დღესაც წარმოადგინა „რევიზორი". ხლესტაკოვი ისევ ვ. აბაშიძემ განასახიერა და დობჩინსკი ლადო მესხიშვილმა შეასრულა.

განსაკუთრებულ მხატვრულ ძალას „რევიზორი" ქართულ სცენაზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღწევს. ეს გასაგებიც არის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული მწერლობისა და ხელოვნების ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ამ დროიდან ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაშლილმა მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ გამოიწვია ქართული მწერლობისა და ხელოვნების აღმავლობა. ქართულ სცენაზე „რევიზორის" დიდი წარმატება სწორედ ამ მოვლენის გამომხატველი იყო. გაზეთი „კვალი" ქებათა-ქებით იხსენიებდა ვასო აბაშიძეს გოროდნიჩის როლში და აღნიშნავდა, რომ „რევიზორის" წარმოდგენა ქართული ხელოვნების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ბევრჯერ გვინახავს „რევიზორი" სცენაზე დადგმული, მაგრამ ასე ოსტატურად—არასოდესო („კვალი", 1895 წ. № 5).

1902 წელს თბილისის ქართულმა თეატრმა „რევიზორის" დადგმით აღნიშნა გოგოლის გარდაცვალების 50 წლისთავი. ხლესტაკოვის როლს ასრულებდა მაშინ ახალგაზრდა მსახიობი კოტე შათირიშვილი (1868-1921), რომელიც ამის შემდეგ რევოლუციამდელ ქართულ თეატრში ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. ამავე ხანებში ლადო მესხიშვილმა სახელი გაითქვა გოგოლის „შეშლილის წერილების" მხატვრული კითხვით.

1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია სახალხო თეატრის ზრდა. მუშათა თეატრი იქცა ქართული თეატრის დემოკრატიული ტრადიციების დამცველად და განმგრძობად რეაქციის წლებში. სახალხო სახლს თავის რეპერტუარში შეაქვს გოგოლის „რევიზორი".

1909 წელს თბილისში სახალხო სახლის თეატრი (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახლანდელი შენობა) გაიხსნა მუშათა დრამატული დასის მიერ კოტე შათირიშვილის რეჟისორობით დადგმული „რევიზორით". ამ წარმოდგენაში გამოჩნდა „რევიზორის" შემსრულებელ მსახიობთა ახალი თაობა: ნიკო გოცირიძე (ოსიპი), კოტე შათირიშვილი (ხლესტაკოვი), ილია ზურაბიშვილი (გოროდნიჩი), ვ. ნინიძე (ზემლიანიკა), ლ. ადამიძე (მიშკა), ს. რომანიშვილი (ბობჩინსკი), გ. ჯაბაური (დერჟიმორდა). ამ წარმოდგენას ძალას მატებდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის მონაწილეობა (ანა ანდრეევნა).

1912 წელს სახალხო სახლის თეატრმა ახალი დადგმით უჩვენა დიდი მწერლის უკვდავი კომედია. იგი წარმატებით დადგა სამხატვრო თეატრის სკოლის რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. ეს სპექტაკლი წარმოადგენდა იმის ნათელ სურათს, თუ როგორ იზრდებოდა და წინ მიდიოდა თბილისის სახალხო სახლის თეატრი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც აყვავდა ქართული თეატრალური ხელოვნება, გოგოლის კომედია უმაგალითო ძალით იქნა განსახიერებული ქართულ საბჭოთა სცენაზე. ჩვენმა პრესამ და საზოგადოებამ უკვე აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანი, მაღალნიჭიერი და მხატვრული მონაპოვარია მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „რევიზორი" ალ. თაყაიშვილის რეჟისორობით, თუ რა დიდ არტისტულ ძალას ამჟღავნებს სახალხო არტისტი შალვა ღამბაშიძე გოროდნიჩის როლის ქართულ სცენაზე ბრწყინვალე განსახიერებით.

გოგოლის საიუბილეო დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრში ვნახავთ „ქორწინებას", „ბანქოს მოთამაშეებს" და „შეშლილის წერილებს", ქუთაისის თეატრში — „რევიზორს", სუხუმის და სტალინირის თეატრებში, მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებში — „ქორწინებას". იუბილეს დღეები იქცევა გოგოლის ნაწარმოებთა სცენიური განხორციელების დათვალიერებად, რაც ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით არის გარემოსილი საქართველოში დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის სახელი და შემოქმედება.

დ. ჯანელიძე

## ნ. ვ. გოგოლი და საქართველოს კულტურა

მთელმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდი რუსი მწერალი, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლი. დრომ ვერ შეძლო შეემცირებინა მისი შემოქმედების ძალა და მნიშვნელობა თაობებისათვის. პირიქით, თანდათან უფრო ძლიერდება ინტერესი და სიყვარული ნ. გოგოლის, როგორც რუსული კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლისადმი; ძლიერდება ინტერესი და სიყვარული მისი მხატვრული პროზის შედევრებისადმი, რადგან მკითხველი მათში ხედავს მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის განუმეორებელ ორიგინალობას; ხედავს რეფორმამდელი ეპოქის მემატიანეს, რომელმაც მთელი სიმკაცრით ამხილა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თვითმპყრობელობა, ბატონყმურ რუსეთში გამეფებული უხამსობა; გვიჩვენა კონტრასტები უფლებამოსილი ზედაფენების ფუფუნებისა და გაძვალტყავებული ხალხთა მასების ცხოვრებისა. ჩვენ გვხიბლავს ნ. გოგოლის შემოქმედების ხალხურობა, ბრძოლა ჰუმანიზმის მაღალი პრინციპებისათვის, რაც ამ დიდი მწერლის მხატვრულ ნაწარმოებთა მთავარ აზრს, მათ იდეურ მიმართულებას შეიცავს.

ნ. ვ. გოგოლისადმი ინტერესი იმთავითვე გასცდა რუსეთის საზღვრებს. პოლ ლაფარგი თავის მოგონებებში წერს: „როცა მარქსი 50 წლის გახდა, მან ხელი მოჰკიდა რუსული ენის შესწავლას და, მიუხედავად ამ ენის სიძნელისა, იმდენად დაეუფლა მას რაღაც ექვსი თვის შემდეგ, რომ სიამოვნებით კითხულობდა რუს პოეტებსა და პროზაიკოსებს, რომელთაგან განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, გოგოლს და შჩედრინს". რა თქმა უნდა, კარლ მარქსს ხიბლავდა მათი ნაწერების მხატვრული სიდიადე; მაგრამ ამასთან აღნიშნული მწერლების შემოქმედებაში იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს, საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებს, რაც დაყენებული იყო პუშკინის, გოგოლის, შჩედრინის პოეტურ, პროზაულ და დრამატურგიულ შედევრებში.

ცნობილია, რომ მუშათა კლასის გენიალურ ბელადებს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს ხშირად მიუმართავთ ამა თუ იმ დებულების ნათელსაყოფად ტიპებისა და სახეებისათვის მხატვრული ლიტერატურიდან; მათ შორის ნ. ვ. გოგოლის მიერ შექმნილ ტიპებსა და სახეებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი იყენებენ მხატვრული ლიტერატურის მასალებს იმ მიზნით, რათა უფრო ცხადი გახადონ მასებისათვის ნაკლოვანებანი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ნიღაბი ჩამოგლიჯონ პოლიტიკურ მტრებს, ამხილონ კაპიტალისტური სამყაროს მანკიერება.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ნ. ვ. გოგოლის, როგორც მწერლის ის უდიდესი პოპულარობა, რომელიც თავიდანვე მოიპოვა მან არა მარტო რუსეთში, არამედ მის საზღვრებს იქითაც. სად უნდა ვეძიოთ ის მარცვალი გოგოლის შემოქმედებაში, რომელმაც ასე მჭიდროდ დაუკავშირა მას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან მოწინავე ქართველი საზოგადოების სულისკვეთება, გრძნობა და აზროვნება? ამ მჭიდრო ურთიერთობის ნიადაგს წარმოადგენდა ის სიახლე, რაც გოგოლმა შეიტანა მხატვრულ შემოქმედებაში, როგორც იმ დროს არსებული წყობილების მძლავრ მამხილებელ საშუალებაში. როგორც ბელინსკი ამბობდა, გოგოლმა „რუსეთში შექმნა ახალი ხელოვნება, ახალი ლიტერატურა". რაში მდგომარეობდა ეს სიახლე? გოგოლმა თავისი მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშებში კი არ შეალამაზა ცხოვრება, კი არ მოახდინა მისი იდეალიზაცია, არამედ „წარმოგვისახა ცხოვრება და სინამდვილე მათი ნამდვილი ჭეშმარიტებით და ამით მიანიჭა ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა საზოგადოებაში, დაგვეხმარა ცხოვრების გაგებაში". ასეთია გოგოლის შემოქმედების ხასიათი და მისი უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომ გახდა მისი შემოქმედება ძლიერი ზეგავლენის შემცველი მოვლენა და მთელი თაობების აღმზრდელი. ამიტომ გაავლო მან ღრმა კვალი ადამიანთა გონებრივი წინსვლის, მათი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში.

ქართული კულტურისათვის საერთოდ და კერძოდ მისი მხატვრული ლიტერატურისათვის რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა მუდამ სერიოზული და საგრძნობი იყო. დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე ფასდაუდებელ როლს ანიჭებდა ამ თვალსაზრისით დიდი რუსი ხალხის ლიტერატურას. „თქმა არ უნდა, — ამბობდა იგი, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს. ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა". შემდეგ ილია იძლეოდა რა რუსული ლიტერატურის ზეგავლენის დახასიათებას ჩვენი კულტურისა და საზოგადო მოღვაწეების, მწერლების მიმართ, დაასკვნიდა: „ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუდგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია".

რა თქმა უნდა, ამ მხრივ თავისი ადგილი ჰქონდა და აქვს მიკუთვნებული რუსული ლიტერატურის ერთერთ უდიდეს კლასიკოსს ნ. ვ. გოგოლს. გოგოლის ნაწარმოებთა ნაწილი ქართულ ენაზე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ითარგმნა. განსაკუთრებული პოპულარობა საქართველოში დაიმსახურა გოგოლის „რევიზორმა". ვიდრე ამ შესანიშნავ დრამატულ ნაწარმოებს ქართულ ენაზე თარგმნიდნენ, იგი რუსულად იქნა წარმოდგენილი პირველად ქუთაისში 1867 წელს გიმნაზიელ სცენისმოყვარეთა წრის მიერ.

შემდეგ გოგოლის „რევიზორი" ითარგმნა ქართულად. თარგმანი შეასრულა ცნობილმა პედაგოგმა ალექსი ჭიჭინაძემ. 1881 წლის 19 აპრილს თბილისში, ეგრეთწოდებულ არწრუნისეულ თეატრში ქართულმა დასმა პირველად წარმოადგინა „რევიზორი". ამ სპექტაკლში გოროდნიჩის როლი შეუსრულებია ა. ლორთქიფანიძეს, რომელიც სპეციალურად მოუწვევიათ ქუთაისიდან, ხოლო ხლესტაკოვისა — ჩვენი სცენის სიამაყეს ვასო აბაშიძეს.

1882 წელს ქუთაისში პირველად დადგეს „რევიზორი" ქართულად. შემდეგში იგი ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა 50 წლისთავი რუსულ სცენაზე „რევიზორის" პირველი დადგმიდან. როგორც ცნობილია, „რევიზორის" პირველი დადგმა განხორციელდა 1836 წლის 19 აპრილს პეტერბურგში, ალექსანდრეს თეატრში. ქართველმა საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასა ეს მნიშვნელოვანი თარიღი და მხურვალედ გამოეხმაურა მას. გაზეთმა „ივერიამ" 1886 წლის 6 მაისის ნომერში წინასწარ აცნობა მკითხველებს: „იმას სახსენებლად, რომ გოგოლის კომედიას „რევიზორს" წელს ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდა, ქართული დრამატიული საზოგადოება გამართავს წარმოდგენას. მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფ. აბაშიძე, გუნია, ალექ.—მესხიევი, მოხევე, საბუელი, მძინაროვი, ცაგარელი და სხვანი". როგორც იმ დღეებში ქართული პრესის ფურცლებზე მოთავსებულ ანგარიშებშია აღნიშნული, საღამოს დიდი ზეიმით ჩაუვლია. 8 მაისის ნომერში „ივერია" დაწვრილებით აღწერს ზეიმს და მთლიანად ათავსებს აკაკი წერეთლის ლექსს „გოგოლის ხსოვნას", რომელიც პოეტს წაუკითხავს წარმოდგენის დაწყებამდე.

აკაკი წერეთლის ზემოაღნიშნულ ლექსში გადმოცემულია გოგოლის დროის რუსეთში არსებული მძიმე ვითარება, საერთო ჩამორჩენილობა, მტარვალთა პარპაში, ჩაგრულთა სავალალო მდგომარეობა. აი როგორ აგვიწერს ამ ხანას აკაკი:

„როდესაც უგნურებას,
გაბერილსა დიდებას,
ყოველგვარ სიძაგლობას
და ცრუ ჭეშმარიტებას —
უმაღლეს მტარვალობის
კალთა ეფარებოდა
და ჩაგრულების ცრემლი
დღითი-დღე ღვრებოდა,
როდესაც ცრუ მგოსნები
ადიდებდნენ ცრუ ღმერთებს,
და მათ ფარისევლობა
თამამად ასხამდა ფრთებს,—..."

სწორედ მაშინ აღმართა თავისი მახვილი მხატვრული სიტყვა ნ. ვ. გოგოლმა. ეს სიტყვა მიმართული იყო გამეფებული უვიცობის, ბოროტებისა და უხამსობის წინააღმდეგ. ეს იყო ბრძოლის ყიჟინა, მოწოდების მძლავრი ხმა, „ხმა რაღაც უჩვეულო, და იმ ხმამ კიდით-კიდე ელვასავით შემოვლო", — ამბობს აკაკი.

გაზეთი „ივერია" 9 მაისს კვლავ უბრუნდება „რევიზორის" 50 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს და ათავსებს მოწინავე სტატიას. მოწინავეში ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთი გადაჭრით დაადგა გონებრივი გამოფხიზლების და აღორძინების გზას; რომ „იმასაც ესმის, რა სახელია ერისათვის, როცა მის კალთაში დაბადებული, მისი ძუძუთი აღზრდილი კაცი, მისი სისხლი და ხორცი შოულობს და იხვეჭს მას, რაც, ჩვენთვის რუსთაველის სიტყვით, „სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსაო". შემდეგ გაზეთი აღნიშნავს პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ტოლსტოის და სხვათა ღვაწლს რუსეთის საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების საქმეში, მათ ღვაწლს იმ მხრივ, რომ „ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერ ძალ-ღონეს". და დასძენდა: „ამისთანა კაცნი მით არის სახელოვანი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარ-ტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თავისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარ-ტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რა გვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდს ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის".

შემდეგში კიდევ უფრო იზრდებოდა ინტერესი გოგოლის შემოქმედებისადმი საქართველოში.

მაგრამ განსაკუთრებული დაფასება წილად ხვდა ნ. ვ. გოგოლს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. უმაგალითოდ გაიზარდა ქართველი მკითხველის სიყვარული გოგოლის შემოქმედებისადმი. რამდენჯერმე გამოიცა და კვლავ იცემა გოგოლის რჩეული ნაწარმოებნი ქართულ ენაზე. ქართულ საბჭოთა სკოლაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მშობლიური ლიტერატურის კლასიკოსთა გვერდით გოგოლის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების შესწავლას.

ჩვენს დროში სავსებით განხორციელდა გოგოლის სიტყვები, რომელიც მან მისწერა ვ. ა. ჟუკოვსკის: „ვიცი, რომ ჩემი სახელი ჩემს შემდეგ ჩემზე უფრო ბედნიერი იქნებაო".

საქართველოსა და გოგოლის სამშობლოს ძმობრობა სიმბოლურად ჯერ კიდევ იმ საგულისხმო ფაქტით გამოიხატა, რომ დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა თავის მეორე სამშობლოდ მირგოროდი გაიხადა, ის მირგოროდი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ნ. ვ. გოგოლს და რომელსაც მან თავისი არა ერთი შედევრი მიუძღვნა.

ნ. ვ. გოგოლი, მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ ყოფილა საქართველოში, აღტაცებული იყო ჩვენი ქვეყნით. თავის სტატიაში „რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ" გოგოლი წერდა: „იგი, — ამბობს გოგოლი პუშკინზე, — ერთადერთი მომღერალია კავკასიისა: იგი შეყვარებულია მასზე მთელი სულითა და გრძნობებით; იგი გამსჭვალული და აღვსილია მისი შესანიშნავი მიდამოებით, სამხრეთის ცით, წარმტაცი საქართველოს ველებით, ყირიმის დიდებული ღამეებითა და ბაღებით". ამავე სტატიაში გოგოლი ამბობს, რომ პუშკინის პოეტურ აღმაფრენას სიკაშკაშეს და თვალისმომჭრელ სილამაზეს ჰმატებენ იალბუზი, მთიულები, ყირიმი და საქართველო.

ქართველი ხალხი, თავის უფროს თანამოძმე დიდ რუს ხალხთან ერთად უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ინახავს ნ. ვ. გოგოლის ბრწყინვალე ლიტერატურულ მემკვიდრეობას, როგორც თვალსაჩინო საუნჯეს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

პ. ბახტურიძე

# საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება

**პარიზი,** 1 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„მთავრობის ახალი კრიზისი მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ სულ უფრო ძნელი ხდება ანტიფრანგული პოლიტიკის განხორციელება.

8 იანვარს საფრანგეთის კომპარტიამ განაცხადა: „მიზეზები, რომლებმაც პლევენის მთავრობის დაცემა გამოიწვია, კვლავ დარჩება, თუ ხვალინდელი მთავრობა აპირებს განაგრძოს იგივე პოლიტიკა, რა ფორმითაც და ვისი დახმარებითაც უნდა წარმოებდეს იგი". ამერიკის ბრძანებანი, რომლებიც გაცემულ იქნა ლისაბონის თათბირზე, იწვევენ ახალ ასეულ მილიარდობით ფრანკ გადასახადებს.

ედგარ ფორის მთავრობის დაცემა, რაც ლისაბონის თათბირის რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა, ცხადყოფს, რომ ფრანგი ხალხი სულ უფრო ეწინააღმდეგება ომისა და სიღატაკის იმ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკელები თავს ახვევენ საფრანგეთს.

აი რატომ არის, რომ სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ ძალის გამოყენების ღონისძიებებს, რასაც, კერძოდ, მოწმობს ოფიციალური წრეების პოზიცია „ფრანგი ხალხის გაერთიანების" ბანაკის ფაშისტებისადმი და 10 თებერვლის ანტიფაშისტური დემონსტრაციის აკრძალვა. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ მატულობს საფრთხე ფაშიზმისა, რომელსაც სულ უფრო მეტად მიმართავენ ომის ამერიკელი გამჩაღებლები და მათი აგენტები საფრანგეთში, რათა თავს მოახვიონ ჩვენს ქვეყანას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მას არა სურს.

სოციალისტი ხელმძღვანელები გი მოლე, დეპრე და სხვები სრული პასუხისმგებელი არიან ამისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ ისინი თანხმობას აცხადებენ გერმანიის შეიარაღებაზე, იწონებენ ფაშისტური ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც ედგარ ფორის მთავრობამ მიიღო, რომ დადოს მთელი რიგი შეთანხმებანი დეგოლელებთან, ხმას აძლევენ ახალ გადასახადებს, რაც ხელს უწყობს „ფრანგი ხალხის გაერთიანების" დემაგოგიას და მუშათა კლასისა და ხალხის მასების დემორალიზაციას, რომლებმაც გაძლიერებული სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ ახლანდელ პირობებში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა და ზრუნავს მუშათა კლასისა და ერის ინტერესების დაცვისათვის, საჭიროდ თვლის განხორციელდეს მკვეთრი მობრუნება პოლიტიკაში და მიღწეულ იქნას საფრანგეთის ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც, კერძოდ, დაემყარება იმას, რომ გაუქმდეს ყველა შეთანხმება, რომელიც კი წარმოადგენს ხელის აღებას საფრანგეთის დამოუკიდებლობაზე: მარშალის გეგმა, ატლანტიკის პაქტი, შუმანის გეგმა, „ევროპის არმია" და მათი დამატებითი შეთანხმებანი.

მხოლოდ ასეთი პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, საშუალებას მოგვცემდა 1.400 მილიარდიდან 600 მილიარდ ფრანკამდე შეგვემცირებინა სამხედრო კრედიტები, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მივცეთ სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფის უნარისმქონე ეროვნული არმია. ამიტომ ასეთი პოლიტიკის შედეგი იქნებოდა იმ 800 მილიარდი ფრანკის ეკონომია, რაც განკუთვნილია ვიეტნამში ანტი-ფრანგული ომის, გერმანიის შეიარაღებისა და ამერიკელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დასაფინანსებლად. ეს 800 მილიარდი ფრანკის ეკონომია საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა გადასახადთა გადიდება, განგვეხორციელებინა ეკონომიური და სოციალური პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ქალაქებისა და სოფლების მშრომელი მასების ინტერესებს.

ომი ვიეტნამში, რომელსაც ხო ში მინის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებით ბოლო უნდა მოეღოს, ცხადყოფს, ისევე როგორც ტუნისის ამბები, რომ საფრანგეთის ინტერესები მოითხოვს კოლონიური ხალხების უფლებათა და კანონიერ მისწრაფებათა აღიარებასა და პატივისცემას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს კომუნისტ და სოციალისტ მშრომელებს და ყველა ფრანგს, გაერთიანდნენ და გამოთქვან ერის მისწრაფება — შეიქმნას ფართო დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა, რომელიც საფრანგეთის, რესპუბლიკისა და მშვიდობის ნამდვილი მთავრობა იქნება.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია".

# საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო

**პარიზი.** როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, პოლ რეინომ, რომელიც ცდილობდა შეედგინა მთავრობა ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მხარს უჭერენ გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, —სოციალისტებით დაწყებული და დეგოლელებით დამთავრებული, მარცხი განიცადა და რესპუბლიკის პრეზიდენტს აცნობა, რომ არ ძალუძს შეასრულოს დაკისრებული ამოცანა.

პრეზიდენტმა წინადადება მისცა რენე პლევენს (მემარჯვენე პარტიის წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის წევრი), რომელიც უკვე იყო საფრანგეთის მთავრობის მეთაური, განიხილოს ახალი კაბინეტის შედგენის შესაძლებლობა.

# დაიხურა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესია

**ულან-ბატორი,** 1 მარტი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესიაზე დამთავრდა რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა. ფინანსთა მინისტრის მოადგილის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო კანონი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომლის შემოსავლის ნაწილი შეადგენს 380.495.500 ტუგრიკს, ხოლო გასავლის ნაწილი 374.040.300 ტუგრიკს.

შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიღებული ხურალის პირველი სესიიდან მეორე სესიამდე.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით და დიდი სტალინის პატივსაცემად მისასალმებელი შეძახილებით სესიამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

სესიის დახურვისას დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარემ დეპუტატმა დამბამ გამარჯვება უსურვა მონღოლი და საბჭოთა ხალხების მარადიულ ურღვევ მეგობრობას, ყველა მშრომელის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს, მონღოლი ხალხის საუკეთესო მეგობარსა და მამას ამხანაგ ი. ბ. სტალინს. თავმჯდომარის სიტყვებს სესიის მონაწილენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

# ფასების ზრდა ინგლისში

**ლონდონი,** 1 მარტი. (საკდესი). ახალი ომისათვის მზადების პოლიტიკა, რომელსაც ინგლისის მმართველი წრეები ახორციელებენ, იწვევს ინგლისის მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელ დაქვეითებას. 1951 წლის განმავლობაში მკვეთრად გაძვირდა კვების ყველა უმნიშვნელოვანესი პროდუქტი და ფართო მოხმარების საქონელი. მაგალითად, რძე და კვერცხი გაძვირდა 20 პროცენტით, ყველი—71 პროცენტით, თევზის კონსერვი—11-37,5 პროცენტით, ბეკონი—32 პროცენტით, ცხვრის ხორცი საშუალოდ—თითქმის 14 პროცენტით, შაქრის ფხვნილი—20 პროცენტით, ბურღული—15 პროცენტით.

გადიდდა აგრეთვე ყველა ხორცეულისა და ძეხვეულის, ფქვილის, ფქვილისა და საკონდიტრო ნაწარმის, მურაბის, ჯემის, ხილის წვნის, დაკონსერვებული რძის, ზოგიერთი სახეობის დაკონსერვებული ბოსტნეულის, მარილის, ძმრისა და ასანთის ფასები და სხვ.

კვების ბევრი პროდუქტისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადიდდა. ფასების ზრდამ გასულ წელს მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. მუშათა ბევრი ოჯახი მოკლებულია საშუალებას გამოიყიდოს თუნდაც თავისი სამიმდინარეო ულუფა. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა სამრეწველო საქონლის მოხმარება.

ახალი წლის დასაწყისი აღინიშნა ფასების კიდევ უფრო მკვეთრი ზრდით. მარტო ერთი თვის განმავლობაში, 1951 წლის 15 დეკემბრიდან 1952 წლის 15 იანვრამდე, საცალო ფასების ოფიციალური ინდექსიც კი, რომელიც ოდნავაც ვერ გამოხატავს ფასების ნამდვილ ზრდას, გადიდდა 2 პუნქტით და შეადგინა 132 (1947 წელს უდრიდა 100-ს).

ახალ წელს კიდევ უფრო გადიდდა ქვანახშირის, გაზისა და ელექტროენერგიის ფასი, გაძვირდა კარტოფილი და თევზი, 10-15 პროცენტით გადიდდა ბამბის ქსოვილების ფასები.

28 თებერვალს გამოცხადდა ავტობუსით მგზავრობის ფასის გადიდება 25-100 პროცენტით. 2 მარტიდან ძალაში შედის დადგენილება რკინიგზით მგზავრობისა და ტვირთების გადაზიდვის ფასის 10 პროცენტით გადიდების შესახებ.

ახალ საფინანსო წელს მთავრობა აპირებს მნიშვნელოვნად გაადიდოს ხალხისათვის დაკისრებული სამხედრო ხარჯების ტვირთი, რაც გამოიწვევს ინგლისელ მშრომელთა შემდგომ გაღატაკებას.

# იმპერიალისტების ხრიკები ახლო და შუა აღმოსავლეთში

როგორც ცნობილია, გასული წლის დამლევს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებმა უარყვეს „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შექმნის გეგმა, რომელიც მათთვის სურდათ თავს მოეხვიათ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობებს. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ცდილობენ გამოაცოცხლონ ეს აგრესიული გეგმა ისე, რომ რამდენადმე შეცვლილი სახით თავს მოახვიონ იგი არაბულ ქვეყნებს.

ამ უკანასკნელ დროს ამერიკელი და ინგლისელი დიპლომატები მეტად დიდ აქტივობას იჩენენ თითქმის ყველა არაბული ქვეყნის დედაქალაქებში, მაგრამ მთავარ ყურადღებას ისინი, ეჭვი არ არის, ეგვიპტეს აქცევენ. ეს გასაგებიც არის. ეგვიპტე პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც უარყო წინადადება „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შესახებ. იმპერიალისტებს ესმით, რომ ეგვიპტის პოზიციას შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა არაბული ქვეყნების პოზიციაზე.

აი რატომ იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები დიდ იმედებს ამყარებდნენ თებერვლის დამლევს ეგვიპტის დიპლომატის ამრ-ფაშის გამგზავრებაზე ლონდონში, სადაც იგი, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენთან და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან აჩესონთან. ამრ-ფაშის კაიროს დაბრუნების შემდეგ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა მაჰერ-ფაშამ გამოაცხადა, რომ ეგვიპტე მზად არის განაახლოს მოლაპარაკება ინგლისთან. მოლაპარაკება, როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, შეეხება აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში „თავდაცვის" სისტემის შექმნას.

მაგრამ უცხოეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ვერ განხორციელდება ინგლის-ეგვიპტის იმ უთანხმოების მოწესრიგებამდე, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოიწვია ინგლისის ჯარების მიერ ეგვიპტის ტერიტორიის უკანონო ოკუპაციამ. ეგვიპტის მთავრობას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ეგვიპტელი ხალხის ბრძოლას, რომელიც ესწრაფვის ეროვნულ დამოუკიდებლობას, და ვერ გადაუწყვეტია მიიღოს ინგლისელ იმპერიალისტთა პირობები, რომელთაც არა სურთ ხელი აიღონ ეგვიპტის ტერიტორიის კონტროლზე.

თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელების მიზნით, იმპერიალისტები მიმართავენ არა მარტო არაბული ქვეყნების მთავრობებზე ზეგავლენას, არამედ ეგრეთწოდებულ შუამავალთა სამსახურსაც, რომელნიც სინამდვილეში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შენიღბული აგენტები არიან.

მაგრამ, რაც უფრო ძლიერი ხდება იმპერიალისტების ზეგავლენა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე, მით უფრო ძლიერდება ჩაგრულ ხალხთა ბრძოლა მათი გეგმების წინააღმდეგ. არაბეთის ხალხები, წერს სირიის გაზეთი „ალკაფილია", უკუაგდებენ ყველა გეგმას, რომელიც იმპერიალისტების ინტერესებს ემსახურება.

**ი. ზვიაგინი**

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 1 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა:

ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

დღეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავები განაგრძობდნენ თავდასხმებს ნამფხოს, სუკჩხონისა და ვონსანის რაიონებზე. ჩვენი ჯარების საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

**ფხენიანი,** 2 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ ვონსანისა და კოვონის რაიონებს.



თბილისის ქალთა მე-6 სკოლის ტანმოვარჯიშეთა სპორტული გამოსვლები ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

ორძელზე ვარჯიშს ასრულებს ხწავლის ფრიადოსანი, მეათეკლასელი გულნარა შაბურიშვილი.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

# სასაფხულო სპორტული სეზონის გახსნა

გუშინ, 2 მარტს, რესპუბლიკაში დაიწყო საზაფხულო სპორტული სეზონი. თბილისში ამ დღეს გაიმართა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

### შეჯიბრება ამანათრბენში

რუსთაველის პროსპექტზე დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და სასპორტო საზოგადოებათა გუნდებს შორის მოეწყო საინტერესო ამანათრბენი, რაშიც 200-მდე საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში საუკეთესო წერთნა გვიჩვენა სასპორტო საზოგადოება „მეცნიერების" გუნდმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდნენ სტალინის რაიონის გუნდის წარმომადგენლები.

### ქალთა მე-2 სპარტაკიადა

იმავე დღეს ლენინის სახელობის თბილისის სასპორტო დარბაზში გაიხსნა თბილისის ქალთა მეორე სპარტაკიადა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი. სპარტაკიადაში მონაწილეობენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენი ქალები.

პროგრამაშია: მძლეოსნობა, ცურვა, ჩოგბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფარიკაობა, ჭადრაკი, სროლა და სხვ.

სპარტაკიადის გახსნის პირველ დღეს ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნობაში. 100 მეტრზე რბენაში საუკეთესო დრო აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ნ. ხნიკინამ. სიმაღლეზე ხტომაში (145 სანტიმეტრი) გაიმარჯვა ამავე გუნდის წარმომადგენელმა ს. როზანოვამ.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის საჩოგბურთო მოედანზე ჩოგბურთში თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 4:1 დაამარცხა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა, მიესაჯა წაგება. „დინამომ" მოუგო „მედიკოსს" (3:0), პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდმა მოუგო ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდს (5:0), სასპორტო საზოგადოება „ქარიშხალის" გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა „პიშჩევიკის" გუნდი, „შრომამ" მოუგო „წითელი დროშის" გუნდს (2:1), „სპარტაკმა" ანგარიშით 3:0 დაამარცხა 26 კომისრის რაიონის გუნდი.

კალათბურთში უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა (53:14) სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოუგო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს (73:16). ჭადრაკში სასპორტო საზოგადოებების „წითელი დროშისა" და „ქარიშხალის" გუნდებს შორის შეჯიბრება დამთავრდა პირველის გამარჯვებით (4:0), „პიშჩევიკმა" ანგარიშით 2:1 დაამარცხა „დინამოს" გუნდი, ხოლო „ლოკომოტივ"—„სპარტაკის" და 26 კომისრის რაიონის და „შრომის" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

ქალთა მეორე სპარტაკიადა, რომლის მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი ნ. დუმბაძე, გაგრძელდება 16 მარტამდე.

# ურუგვაის მთავრობის ახალი შემადგენლობა

**მონტევიდეო,** 2 მარტი. (საკდესი). 1 მარტს მონტევიდეოში გაიმართა ცერემონია რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის ეროვნული სახელმწიფო საბჭოთი შეცვლის გამო. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ბატლისტური პარტიისაგან ანდრეს მარტინეს ტრუება, ანტონიო რუბიო, ჰექტორ ალვარეს სინა, ლუის ალბერტო ბრაუსე, ფრანსისკო ფორტესა; ერერისტული პარტიისაგან — მარტინ ეჩეგოიენი, რობერტო ბერო, ალვარო ვარგას გილიემეტე; ბლანკო-ასევედისტური პარტიისაგან — ედუარდო ბლანკო ასევედო.

ეროვნულმა სახელმწიფო საბჭომ თავის თავმჯდომარედ აირჩია რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი მარტინეს ტრუება; ეროვნული სახელმწიფო საბჭოს მდივნად დანიშნულია ედუარდო ხიმენეს დე არეჩაგა.

ურუგვაის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის ეროვნული სახელმწიფო საბჭოთი შეცვლასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ახალი მთავრობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ბლანკო-ასევედისტი დანიელ კასტელიანოსი; შინაგან საქმეთა მინისტრად—ბატლისტი ანტონიო გუსტავო ფუსკო; ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ბატლისტი ლედო არროიო ტორესი.

# ეგვიპტის ახალი მთავრობა

**პარიზი,** 2 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, ახმედ ნაგიბ ჰილალი-ფაშამ შეადგინა ეგვიპტის ახალი მთავრობა, რომელშიც მას პრემიერ-მინისტრის პოსტი უკავია. შინაგან საქმეთა მინისტრად და სამხედრო მინისტრად დანიშნულია ახმედ მორტადა ელ-მარაგი-ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრად—აბდელ ჰალეკ ჰასუნა-ფაშა.

# ეგვიპტის ახალი მთავრობის პირველი აქტი

**ლონდონი,** 1 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, რომ დღეს საღამოს ეგვიპტის ახალმა მთავრობამ დახურა კაიროს ფუად I-ის სახელობის უნივერსიტეტი „მომავალ განკარგულებამდე". რეიტერის ცნობიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის დახურვა რეპრესიული ღონისძიებაა სტუდენტობის წინააღმდეგ, რომელიც მონაწილეობას იღებდა მრავალ პატრიოტულ დემონსტრაციაში და მოითხოვდა ინგლისის ჯარების გაყვანას ეგვიპტიდან.

# ტუნისის ამბების გამო

**პარიზი,** 2 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სე სუარი" იუწყება, 29 თებერვალს ტუნისში გაიმართა მოსახლეობის მრავალი დემონსტრაცია. დიდი დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ ტუნისში, მშრომელები არაბთა კვარტალებიდან გამოვიდნენ და სამ დიდ კოლონად გაემართნენ ცენტრალური მოედნისაკენ, სადაც საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის სასახლეა. პოლიციამ დემონსტრანტებს სროლა აუტეხა. დაიჭრა დემონსტრაციის მრავალი მონაწილე. ბევრი დააპატიმრეს.

# თავბრუდახვევა დაუმსახურებელი წარმატებებისაგან

უკანასკნელ ხანებში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში ოპერებსა და კონცერტებში მონაწილეობს ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის მსახიობი დონატ დონატოვი, რომელსაც თბილისში ზოგიერთმა არასერიოზულმა მაყურებელმა და ოპერის თეატრის დირექციამ სრულიად დაუმსახურებლად დიდი სახელი და დიდება შეუქმნეს.

საინტერესოა, რომ ზოგიერთ მაყურებელს თურმე მოსწონს დონატ დონატოვის თამაში (და, რასაკვირველია — არა ხმა!), რომელიც სინამდვილეში ყალბი ჟესტიკულაციით და „დრამატიზმით" გამოირჩევა.

როდესაც დონატ დონატოვი მონაწილეობს სპექტაკლში, ოპერის თეატრი სავსეა 13-14 წლის მოსწავლე გოგონებით, რომლებიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ და ოვაციას უმართავენ გასტროლიორს. ეს ხდება მაშინ, როცა თეატრის აფიშები, ყველასთვის გასაგებად იუწყებიან: ბავშვები 16 წლამდე საღამოს სპექტაკლზე არ დაიშვებიან!

დაუმსახურებელი [illegible] თავბრუდახვეული [illegible] მაყურებლებისადმი უპატივცემლობასაც იჩენს. მაგალითად: 2 მარტს ოპერის თეატრში „ჯამბაზების" შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა დონატ დონატოვი. იგი კონცერტის დასასრულს გამოვიდა, ჩანს, განსაკუთრებულ „ყურადღებას" მოითხოვდა და მაყურებელს დიდხანს ალოდინა, სანამ სიმღერას დაიწყებდა. ორი ნომრის შესრულების შემდეგ გამოაცხადეს, რომ დონატ დონატოვი მესამე ნომერსაც შეასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში სიწყნარე იყო, დონატ დონატოვმა დემონსტრაციულად დატოვა სცენა, რამაც მაყურებელთა განცვიფრება გამოიწვია. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი კვლავ გამოჩნდა სცენაზე და მაყურებლებს განუცხადა: „ან აბსოლუტურ სიწყნარეს დაიცავთ, ან კონცერტი დამთავრებულია"...

დონატ დონატოვის ამ უტაქტო მოქმედების შედეგად მაყურებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა გულისწყრომით დატოვა დარბაზი...

ასეთი ქცევა დონატოვს არ უნდა ეპატიოს!

# საქართველოს პირველობა ჭადრაკში

### მეშვიდე ტური

მეშვიდე ტურში, რომელიც 1 მარტს შედგა, საერთო ინტერესს იწვევდა ახალგაზრდა მოჭადრაკეების ა. ბლაგიძისა და ბ. გურგენიძის შეხვედრა. რთულ პოზიციურ თამაშში ა. ბლაგიძემ მეთოდური თამაშით 37-ე სვლაზე მოიგო პარტია.

ოსტატმა ა. ებრალიძემ ა. ბუსლაევთან კარო-კანის დებიუტში მის მიერ შემუშავებული გაგრძელება აირჩია. ა. ბუსლაევმა დაუშვა შეცდომები და 23-ე სვლაზე პარტია დასთმო.

მ. შიშოვი სტრატეგიული მანევრებით აუმჯობესებდა თავის პოზიციას ჰ. არნშტეინთან. ბოლოს მ. შიშოვმა მოიგო ხარისხი. ჰ. არნშტეინმა პირველი დამარცხება განიცადა.

თ. გიორგაძემ მოუგო დ. ჩირაძეს, ხოლო ო. წიწილაშვილმა — რ. კაკიაშვილს.

### მერვე ტური

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ჰ. არნშტეინ—ო. წიწილაშვილისა და ნ. ტიმოფეევ—თ. გიორგაძის შეხვედრები.

კურიოზული შემთხვევა მოხდა ნ. სოროკინ—ა. ბლაგიძის პარტიაში. მწვავე მდგომარეობაში ა. ბლაგიძემ შეცდომით ხელი მოჰკიდა ლაზიერს და, თანახმად საჭადრაკო თამაშის წესებისა, იძულებული გახდა ამ ფიგურითვე გაეკეთებინა სვლა. ამის შემდეგ ნ. სოროკინმა მას შამათი გამოუცხადა.

ა. ებრალიძე—მ. შიშოვის პარტიაში მ. შიშოვმა დინჯი თამაშით მოახერხა ლაზიერის ფრთაზე უპირატესობის მიღება. პარტია გადადებულია ა. ებრალიძისათვის მძიმე ენდშპილში.

პირველი გამარჯვება მოიპოვა რ. კაკიაშვილმა (ტყვარჩელი). კომბინაციური თამაშით მან შეძლო გ. გაჩეჩილაძის მეფის ფრთის გარღვევა და ეტლში ლაზიერის მოგება. 40-ე სვლაზე გ. გაჩეჩილაძე დანებდა.

ვ. ქარსელაძემ მოუგო დ. ჩირაძეს.

ა. ბუსლაევ—გ. გამრეკელისა და ა. ფირცხალავა—ო. ელიოზიშვილის პარტიები გადაიდო.

# კონფერენცია მიჩურინული ბიოლოგიის საკითხებზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მიჩურინული ბიოლოგიისა და პავლოვის მოძღვრების საკითხებზე მოწვეულ იქნა მეცნიერ მუშაკთა კონფერენცია.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს მეცნიერმა მუშაკებმა ვ. ჯეირანაშვილმა, თ. კანდელაკმა და დოცენტმა ვ. შამათავამ. მომხსენებლებმა განმარტეს მიჩურინისა და პავლოვის მოძღვრებათა ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, საბჭოთა ვეტერინარიის მიღწევები და ამ მოძღვრებათა გამოყენების შედეგად განვითარების პერსპექტივები.

# ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ქ. ს. ტრაპაიძე დანიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან კადრების დარგში.

ამხ. ვ. დ. კობახიძე დაინიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში.

ამხ. ო. კ. მელაშვილი განთავისუფლებულია საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მშენებლობის დარგში.

# ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 5 მარტს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. ქორიძის ლექციას თემაზე: „შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი".

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

4 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. მ. მაჩაიძის საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი".

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. მოწინავე—გოგოლი.

მეორე გვერდი—საერთო სათაურით „დიდი რუსი მწერალი" წერილები: გოგოლი ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ. საიუბილეო გამოფენა. ახალი ფილმი გოგოლის შესახებ. გოგოლის ძეგლის გახსნა მოსკოვში. მწერლები გოგოლის შესახებ. ს. პეტროვი—ექსპლოატატორული წყობილების დაუნდობელი მამხილებელი.

მესამე გვერდი—საერთო სათაურით „ვიცი, რომ ჩემი სახელი ჩემს შემდეგ ჩემზე უფრო ბედნიერი იქნება" წერილები: ვ. შადური, გ. ტალიაშვილი—გოგოლი და ქართველი მესამოციანელები. გ. ბუხნიკაშვილი — „რევიზორი" ქართულ სცენაზე. მკითხველთა ანკეტა — ჩვენი საყვარელი მწერალი.

მეოთხე გვერდი—უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

### 5 მარტს

6.25 — კონცერტი კულიკოვის და კამალდინოვის ნაწარმოებებიდან. 7.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.10 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით. 17.15—კონცერტი ს. მირცხულავას და ზ. კირვალიძის შესრულებით. 17.40 — ქართველი პოეტების ლექსები. 18.15—ო. თაქთაქიშვილის პირველი სიმფონია. 19.15 — მოცარტის სავიოლინო კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—ბეთჰოვენის სონატა დოდიეზ-მინორი. 20.45—არიები ვერდის ოპერებიდან. 21.00 — კონსულტაცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: „სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება სამრეწველო საწარმოებში". 21.30 — ლიტერატურული გადაცემა. 22.00 — დ. შოსტაკოვიჩის საავტორო კონცერტის მეორე განყოფილების ტრანსლაცია. 00.05 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები.

# დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — იოლანტა (მე-10 აბ.); რუსთაველის სახელობის — „ქორწინება" და „შეშლილის წერილები"; მარჯანიშვილის სახელობის — რევიზორი; გრიბოედოვის სახელობის —რევიზორი; სომხური დრამის — ქორწინება; მოზარდ მაყურებელთა რუსული — ქორწინება (7 ს.); სანკულტურის — ჩვენი ახალგაზრდობა; თოჯინების ქართული — ბაკი-ბუკი (11 ს.), ნანატყეში (3 ს.); თოჯინების რუსული — ბაკი-ბუკი (12 ს.).

# დღეს კინოებში

„კომკავშირელი" — ქოშები; „სპარტაკი", „კოლხიდა" — საბჭოთა საქართველო; „კოლმეურნე" — პეტრე I; „დიდუბე"—სოფლის მასწავლებელი; 26 კომისრის სახელობის — ბაქოელები (I დარბაზი), სპორტული ღირსება (II დარბაზი).

მოქალაქე ალექსანდრე თევდორეს-ძე მელაძემ, მცხოვრებმა აგარის ქ. № 48, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე მარო დანიელის ასულ ხუბაევთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა აუწყებს ყველა საწარმოს, ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა კაპიტალური შეკეთებისათვის იღებს ტონანახევრიან „გაზის" სისტემის ავტომანქანებს „მმ" მარკის ძრავებით („გაზ-მმ").

პირობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ღრმაღელე, მექანიზაციის ქ. № 1, გამსაღებელი განყოფილება.

ძმა მიხეილ ფაჩულია, ძმისწულები ვალიკო, თამარი, ძმისწულიშვილები მაია, ნუკი, ჯემურ, არჩილ, ნანული, მანანა, რძლები ელენე, მარგალიტა, ნიუტა თოფურიძეები იუწყებიან მარიამ ალექსანდრეს ასულ თოფურიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-III, 6 ს. პეროვსკაიას, 11.

მშობლები ილია, თამარ, ძმა ჯემალ, და ნანული პატარიძეები, ბიძა სიმონ, ბიცოლა ლიუდმილა, ბიძაშვილი ანგი ნემანიშვილები იუწყებიან ციხანა ილიას ასულ პატარიძის გარდაცვალებას, პანაშვიდი 4-III, 7 ს. გამოსვენება 5-III, 5 ს. გრიშაშვილის, 21.

ბიძა ვიქტორ, ბიცოლა ივლიტა მაცაბერიძეები, ბიძაშვილები ნინო, ოლია, ქეთო, ტასო ოჯახებით, დეიდა აგრაფინა ლორთქიფანიძე იუწყებიან მიხეილ ივანეს-ძე ქვარიანის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-III, 5 ს. ატენის, 6.

დედა თამარ, ძმა ბიჭიკო მეუღლით, მეუღლე გიორგი, დედამთილი ელენე, შვილები ზეგფრიდ, ელენე, მულები ოტო, თამარ, მარო ოჯახებით იუწყებიან მარო ხუციშვილი-დათუკიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III არბოშიკში (წითელწყაროს რაიონი).

ძმა ივანე, რძალი დესპინე, ძმისწულები ნინო, პაშა, კოკი, ეთერ მანჯგალაძეები, სიძეები ა. პაჭვინი, ა. ჩხაიძე, ჰ. ფოცხიშვილი შვილებით იუწყებიან ამბაკო კიმოთეს-ძე მანჯგალაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III ლანჩხუთში (სამტრედიის რაიონი).

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან არსენ მერაბის-ძე ყურაშვილის გარდაცვალებას.

შვილები ამბროსი, ჯოტი, ფლავიანე, კოკი, არისტრახ, რძლები რაჩიელ, სირმა, პაშა, ნინო თოფურიძეები შვილებით იუწყებიან ნინუცას გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-III, 7 ს. გამოსვენება 6-III, 4 ს. ძერჟინსკის, 14.

მეუღლე ვარა, შვილი თამარ, შვილიშვილები შოთა, სვეტლანა იუწყებიან ბესარიონ სანიკოს-ძე ქადჟაას გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-III, 7 ს. გამოსვენება 6-III, 5 ს. ბარნოვის, 5.

მეუღლე არიადნა, შვილები ნანი, ზურაბ კლდიაშვილები, დები მარიამ ქორიძე, ელენე მშვიდობაძე შვილებით იუწყებიან გრიგოლ გედევანის-ძე კლდიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III, 5 ს. ქუთაისში, გამოსვენება ურიცკის, 43.

ოლია მაჭავარიანი, ქსენია ხომერიკი, ლიდა, თალიკო, ნატაშა, მიშა, გრიშა ქუთათელაძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის მიხეილ ივანეს-ძე ქვარიანის გარდაცვალებას.

შვილები ნინო, ვლადიმერ, ევგენი, ლიზა, რძლები კატო, ნადია სურმავაები, სიძე ვ. კაკალეიშვილი ოჯახებით იუწყებიან ვასასი კონსტანტინეს ასულ გაწერელია-სურმავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-III, 7 ს. გამოსვენება 6-III, 5 ს. დიღუბის მე-8 შესახ., 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებ ების: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00248